ყვარლის მუნიციპალიტეტის „მედია ცენტრის“ გაზეთი
2023 წელი, 26 მაისი, №5 (6566)

ყვარელი

გამოდის 1932 წლიდან

ფასი 60 თეთრი

26 მაისი – გილოცავთ საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს!

ზინობიანში ეთნო-კულტურული ცენტრი გაიხსნა

ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ ზინობიანში 29 აპრილს ეთნო-კულტურული ცენტრი გაიხსნა, სადაც განთავსებულია სოფლის ისტორიული მუზეუმი, ბიბლიოთეკა, შეხვედრების სივრცე. ასევე, მიმდებარე ტერიტორიაზე მოეწყო რეკრეაციული ზონა-სპორტული და ბავშვთა გასართობი მოედანი, სკვერი. აღსანიშნავია ისიც, რომ უკანასკნელ პერიოდში მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული სამუშაოები ჩატარდა – მოასფალტდა შიდა საუბნო გზები და მოწესრიგდა სანიაღვრე არხები.

პროექტი განხორციელდა საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის (PIRDP) ფარგლებში და ყვარლის მუნიციპალიტეტის მერიის ჩართულობით. მისი ღირებულება – 1776901 ლარს შეადგენს.

აღნიშნული პროექტის განხორციელება პერსპექტივას ქმნის, რომ უდიური სოფელი თავისი საინტერესო ისტორიით, ეთნოგრაფიით, კულტურით, ტრადიციებით გახდეს ერთერთი მიმზიდველი ტურისტული ადგილი, რაც თავის მხრივ აისახება სოფლის მცხოვრებთა სოციალ-ეკონომიურ მდგომარეობაზე.

ზინობიანის ეთნო-კულტურული ცენტრი საზეიმოდ გახსნეს კახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულმა გიორგი ალადაშვილმა, სახელმწიფო რწმუნებულის პირველმა მოადგილემ გივი მეტრეველმა, ყვარლის მუნიციპალიტეტის მერმა გივი ზაუტაშვილმა, საკრებულოს თავმჯდომარემ ილია მზექალაშვილმა, მერის მოადგილეებმა ზურაბ ნემსაძემ და გიორგი ქოქიაშვილმა. უდიური თემისთვის ეს არის მნიშვნელოვანი მოვლენა, ვინაიდან მათი საქართველოში ცხოვრების ასი წლის მანძილზე, მსგავსი მასშტაბური პროექტი პირველად განხორციელდა.

ია გიგიაშვილი

ფერთა სამყაროში მოგზაური

მისმა პოეზიამ, ჯერ კიდევ, სკოლის მერხიდან აიდგა ფეხი. შემდეგ, სრულიად ახალგაზრდამ, სტამბა-რედაქციაში დაიწყო მუშაობა და თანდათანობით დახვეწა კალამი. ახლად დაბადებულ ლექსს პირველად ავთანდილ გაფრინდაშვილს აცნობდა ხოლმე – მაშინდელ გაზეთ „ყვარელის“ რედაქტორს და პოეტს. ავთანდილი იყო მისი ლექსების პირუთვნელი შემფასებელი და არც შემცდარა მასში, რომ დღეს, პროფესიით ჟურნალისტი ქალბატონი ლია გიგიტაშვილი პოეტია.

ჩვენი რაიონის შემოქმედებითი საზოგადოებისთვის კარგადაა ცნობილი მისი კრებულები: „ღია კარებში“ და „წყალ-აღმა“. მესამე გამოცემა – ელექტრონული კრებული „აბსოლუტის სკივრიდან“ განთავსებულია „საბას“ ელ. ბიბლიოთეკის ვებ. გვერდზე; უახლოეს მომავალში ავტორი აპირებს მეოთხე, შევსებული კრებულის გამოცემას.

წლების განმავლობაში ლია გიგიტაშვილი ჩაბმული იყო საზოგადოებრივ საქმიანობაში და არასდროს გაუწყვეტია კავშირი ჩვენს რედაქციასთან, მაშინაც,

გაგრძელება მე-4 გვ.-ზე

პოეზია უპირველეს ყოვლისა

ადამიანის მწყურვალე სულისათვის ლექსი უპირველესი წყაროა. ვინც ქართული პოეზიის განვითარებას თვალყურს ადევნებს და დაინტერესებული მკითხველის პირუთვნელი აზრი გააჩნია, დამეთანხმება, რომ ქართული ლექსის მრავალსაუკუნოვანი სასახელო ტრადიციების შენარჩუნება საიმედო ხელშია.

ამ მხრივ არც ჩვენი ყვარელია გამონაკლისი. ყვარელი ხომ დიდი ილიას მშობლიური მიწა-წყალია. ალბათ ესეც განაპირობებს, რომ ყვარლელები განებივრებულები ვართ საოცარი და ტკბილადმოუბარი პოეტებით.

პოეზიის სამყაროში მოგზაურობისთვის ვესტუმრეთ ყვარლის კულტურის სახლის სამხატვრო ხელმძღვანელს, ქ. ყვარლის საპატიო მოქალაქეს, საქართველოს მწერალთა კავშირის წევრს, პოეტ იზოლდა იოსეგიანს და ვთხოვეთ გვესაუბრა პოეზიაზე.

– ქალბატონო იზოლდა, თქვენ წარმატებული ადამიანი ბრძანდებით, პატივსაცემი პიროვნება. როგორ ფიქრობთ, მიაღწიეთ თუ არა ადრეულ წლებში დასახულ მიზანს?

გაგრძელება მე-5 გვ.-ზე

მისაბაძი ახალგაზრდა, რომელმაც თავი გამოიჩინა მედიცინის სფეროში და მოიპოვა მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი

უფროსი თაობის ადამიანებს კარგად გვახსოვს წარმოსადეგი აღნაგობის კოლორიტი პიროვნება **შალვა გრატიაშვილი**, *რომელიც ათეული წლები ემსახურა ჩვენი ქალაქის მოსახლეობას და თავი დაგვამახსოვრა გამორჩეული ინტელექტით და ზნეკეთილობით. ბატონი შალვა ადამიანების მიმართ იყო ყურადღებიანი და ყოველთვის ცდილობდა გაჭირვებულებს მხარში ამოდგომოდა, ფინანსურადაც და ფიზიკური მუშაობითაც ეხმარებოდათ. იგი ამასთან ერთად იყო შესანიშნავი თამადა და ქართული ტრადიციული ღირებულებების აქტიური დამცველი. ამიტომაც უყვარდათ ყვარლელებს და პატივს სცემდნენ.*

ბატონმა შალვამ ქალბატონ ზინაიდასთან ერთად შესანიშნავ, სამაგალითო ქართულ ოჯახს ჩაუყარა საფუძველი და სამ შვილს ქეთევანს, ავთანდილს და ტარიელს პრესტიჟულ უმაღლეს სასწავლებლებში მიაღებინეს განათლება, რომლებიც დღესაც გულმოდგინებით ემსახურებიან ჩვენს ქვეყანას.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ბატონი შალვას შვილიშვილების წარმატებული საქმიანობა და უდიდესი დამსახურება ქვეყნის წინაშე. შვილიშვილებიდან ავთანდილმა და ერეკლე გრატიაშვილებმა, ზვიად მაღლაფერიძემ მედიცინის სფერო აირჩიეს და დღეს სახელხმიანი ექიმები არიან საქართველოსა და გერმანიაში.

ჩვენი გაზეთის საშუალებით ყვარლელებს გავაცანით ერეკლე გრატიაშვილის საექიმო მოღვაწეობა და დიდი აღიარება აკადემიკოს ფრიდონ თოდუას სახელობის კლინიკაში, სადაც პროქტოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელად მუშაობს.

ამჟამად ქალბატონ ქეთევან გრატიაშვილის ვაჟიშვილზე – ზვიად მაღლაფერიძეზე გვინდა მოვუთხროთ ჩვენი გაზეთის მკითხველებს, ვინაიდან მათ ყოველთვის ახარებთ ახალგაზრდა თანამემამულეების წარმატებები.

გასული წლის დეკემბერში ბატონმა ზვიადმა სადოქტორო დისერტაცია დაიცვა წარმატებით და მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი მიიღო ახალგაზრდულ ასაკში. ზვიადმა ილია ჭავჭავაძის ყვარლის საჯარო სკოლის რვა კლასი, შემდგომ თბილისის საბუნებისმეტყველო გიმნაზია დაამთავრა და წარმატებით ჩააბარა მისაღები გამოცდები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ინგლისურ ენოვან ფაკულტეტზე და 2008 წელს დაამთავრა მკურნალი ექიმის სპეციალობით.

მიუხედავად დროის უკმარისობისა, ბატონმა ზვიადდმა არ დაიზარა და ინტერვიუს ჩაწერაზე დაგვთანხმდა.

გაგრძელება მე-2 გვ.-ზე

მზია ხეთაგურის შემოქმედებითი საღამო ყვარელში

...ლექსი მხოლოდ და მხოლოდ სულის, სულიერების, სიყვარულის გამოძახილი უნდა იყოს

7 მაისს, ილია ჭავჭავაძის სახელობის ყვარლის სახელმწიფო მუზეუმში ლიტერატურული სალონის „„ხატაური»-ს პირველი ღონისძიება – მზია ხეთაგურის შემოქმედებითი საღამო მოეწყო. პოეტს, მწერალს, დრამატურგს, საზოგადო მოღვაწეს გულთბილი შეხვედრა მოუწყეს ყვარელში. ყვარლელებთან ერთად საღამოს ესწრებოდნენ ჩამოსული სტუმრები, პოეტები და მზია ხეთაგურის შემოქმედების თაყვანისმცემლები. ყვარლის კულტურულ და შემოქმედებით ცხოვრებაში კიდევ ერთი ლიტერატურული სალონის დაბადება სასიამოვნო სიახლეა. „ხატაური“-ს დამფუძნებელი და სულისჩამდგმელი კი ყველა ყვარლელისთვის ნაცნობი, პოეტი ქალბატონი **ნუნუ ლაღიძეა.**

– ქალბატონო ნუნუ, გილოცავთ ლიტერატურული სალონის „ხატაური“-ს გახსნას. ყვარელს შეემატა კიდევ ერთი შემოქმედებითი და კულტურული კერა. საინტერესოა, ამ სალონის დაარსების იდეა როგორ გაჩნდა?

გაგრძელება მე-5 გვ.-ზე



26 მაისი – საქართველოს დამოუკიდებლობის დღე

საქართველოს დამოუკიდებლობის დღე საქართველოს ეროვნული დღესასწაულია, რომელსაც ყოველწლიურად 26 მაისს, ქვეყნის დამოუკიდებლობის გამოცხადების ნიშნად აღვნიშნავთ. მიუხედავად იმისა, რომ სსრკ-ისგან საქართველო ოფიციალურად 1991 წლის 9 აპრილს გათავისუფლდა, ეროვნულ დღესასწაულად მაინც 1918 წლის 26 მაისს გამოცხადებული დამოუკიდებლობის დღე აღინიშნება. ამ წელს თბილისში, საქართველოს ეროვნულმა საბჭომ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აქტი მიიღო და ევროპული ტიპის ქართული სახელმწიფოებრიობა, დემოკრატიული სისტემა შეიქმნა: „ამიერიდან საქართველოს ხალხი სუვერენულ უფლებათა მატარებელია და საქართველო სრულუფლებოვანი დამოუკიდებელი სახელმწიფოა“ – დამოუკიდებლობის ისტორიული აქტი, ნოე ჟორდანია.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა 1918 წლის 26 მაისს რუსეთის იმპერიის დაშლისა და 1917 წლის რევოლუციის შემდეგ შეიქმნა. ქვეყნის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა ორმა მნიშვნელოვანმა მოვლენამ – მე-19 საუკუნის დასაწყისში ჩასახულმა ეროვნულმა მოძრაობამ და პირველმა მსოფლიო ომმა – განაპირობა.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკამდელი მოვლენები

იმ დროს როდესაც საქართველო დამოუკიდებელ რესპუბლიკად გამოცხადდა, მოსახლეობა 2, 5 მლნ-ს შეადგენდა, ფართობი – 107,600 კვ.კმ-ს. დედაქალაქი კვლავინდებურად – თბილისი იყო, სახელმწიფო ენა კი – ქართული.

ჩრდილოეთით ესაზღვრებოდა რუსეთი და ჩრდილოეთ კავკასიის მთიელთა რესპუბლიკა ჩრდილოეთით, თურქეთი, სომხეთი და აზერბაიჯანი – სამხრეთით.

1917 წლის გაზაფხულზე, რუსეთში მონარქიის დამხობის შემდეგ, ამიერკავკასიაში ორხელისუფლიანობა დამყარდა: ერთი მხრივ, მუშათა და სამხედრო დეპუტატთა საბჭოები, მეორე მხრივ, რუსეთის დროებითი მთავრობის მიერ შექმნილი ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომისარიატი, რომელთაც რეალური ძალაუფლება არ ჰქონიათ. ამავე პერიოდში საქართველოს პირველი ეროვნული ყრილობა მოიწვიეს, რომელსაც ესწრებოდა ყველა პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციის, სხვადასხვა ხალხის წარმომადგენლები. ყრილობამ საქართველოს ეროვნული საბჭო მოიწვია, პრაქტიკულად საქართველოს მთავრობის ფუნქციას ასრულებდა ამ გარდამავალ პერიოდში, დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე.

1917 წლის ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების შემდეგ სამხრეთ კავკასია კიდევ უფრო რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდა. ადგილობრივმა გავლენიანმა პოლიტიკურმა ძალებმა არ ცნეს საბჭოთა ხელისუფლება და უკვე 1917 წლის ნოემბერში ჩამოაყალიბეს ადგილობრივი მმართველობა ამიერკავკასიის კომისარიატის სახით, რომელმაც რუსეთის დამფუძნებელი კრების ამიერკავკასიელ დეპუტატთაგან შექმნა უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო – სეიმი.

1918 წლის თებერვალ-მაისში, რუსეთის სამოქალაქო ომის დროს, საქართველო შედიოდა ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკის შემადგენლობაში. მას მართავდა ამიერკავკასიის კომისარიატი, რომელიც შედგებოდა საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის წარმომადგენელთაგან. მაგრამ ფედერაცია არასიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა, რაც გამოწვეული იყო ფედერაციის სუბიექტების პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესების შეუთავსებლობით. ამას დაემატა თურქეთის



მხრიდან აგრესია, რომელმაც დაიკავა ბათუმი, არტაანი, ოზურგეთი, საფრთხე შეექმნა ახალციხესა და ახალქალაქს.

1918 წლის 24-25 მაისს გაიმართა საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სხდომა ნოე. ჟორდანიას თავმჯდომარეობით. სხდომაზე განხილულ იქნა თურქებთან მოლაპარაკებებზე ამიერკავკასიის დელეგაციის ხელმძღვანლის აკაკი ჩხენკელის წერილი, რომელშიც ის მოლაპარაკებებზე შექმნილ მძიმე სიტუაციას აღწერდა და საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების დაჩქარებას ითხოვდა. მიიღეს გადაწყვეტილება ამიერკავკასიის სეიმის თვითლიკვიდაციის შემდეგ საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის მიღების თაობაზე. ამაზე სხდომაზე დაამტკიცეს მომავალი მთავრობის შემადგენლობა. ასევე მიიღეს გადაწყვეტილება რომ საქართველოს ეროვნული საბჭოსთვის საქართველოს პარლამენტი ეწოდებინათ.

რა მოხდა 1918 წლის 26 მაისს?

შექმნილმა პოლიტიკურმა მდგომარეობამ განაპირობა ამიერკავკასიის ფედერაციის გაუქმება. 1918 წლის 26 მაისს თბილისში საქართველოს ეროვნულმა საბჭომ გამოაცხადა ქვეყნის დამოუკიდებლობა და შექმნა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა. მომდევნო დღეებში დამოუკიდებლობა გამოაცხადეს სომხეთმა და აზერბაიჯანმა.მმიიღეს „საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აქტი“, რომელშიც ნათქვამი იყო:“ამიერიდან საქართველოს ხალხი სუვერენული უფლებების მატარებელი, ხოლო საქართველო – სრულფასოვანი დამოუკიდებელი სახელმწიფო; დამოუკიდებელი საქართველოს პოლიტიკური ფორმაა – დემოკრატიული რესპუბლიკა. საერთაშორისო ომებში საქართველო მუდმივად ნეიტრალური სახელმწიფოა; საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა თავის საზღვრებში თანაბრად უზრუნველყოფს ყველა მოქალაქის სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს მიუხედავად მისი ეროვნებისა, სარწმუნოებისა, სოციალური მდგომარეობისა და სქესისა; საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა ქმნის ყველა პირობას მის ტერიტორიაზე მცხოვრები ერების თავისუფალი განვითარებისათვის“.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის უმაღლესი ორგანო იყო პარლამენტი (ეროვნული საბჭო), ხოლო აღმასრულებელი ორგანო – მინისტრთა საბჭო, რომელიც ანგარიშვალდებული იყო პარლამენტის წინაშე. პარლამენტიც და მთავრობაც კოალიციური იყო, მაგრამ ჭარბობდნენ სოციალ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლები, რომელსაც მხარს უჭერდნენ არა მხოლოდ მუშები, არამედ გლეხებიც.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პირველი მთავრობა შემდეგნაირად დაკომპლექტდა: მთავრობის თავმჯდომარე – ნოე რამიშვილი, საგარეო საქმეთა მინისტრი – აკაკი ჩხენკელი, შინაგან საქმეთა მინისტრი – ნოე რამიშვილი, სამხედრო საქმეთა მინისტრი – გრ. გიორგაძე, ფინანსთა, ვაჭრობისა და მრეწველობის მინისტრი – გ. ჟურული, იუსტიციის მინისტრი – შ. ალექსი-მესხიშვილი, სახალხო განათლების მინისტრი – გ. ლასხიშვილი, მიწათმოქმედებისა და შრომის მინისტრი – ნ. ხომერიკი, მიმოსვლის გზების მინისტრი – ი. ლორთქიფანიძე.

1919 წლის მარტში ჩატარდა დამფუძნებელი კრების არჩევნები, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ამომრჩეველთა 60%-მა. დამფუძნებელმა კრებამ შეცვალა ეროვნული საბჭო და დაამტკიცა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის 1918 წლის 26 მაისის აქტის სამართლებრივი ძალმოსილება.

საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ, რომლის დამოუკიდებლობა ევროპის წამყვანმა ქვეყნებმა ცნეს, არსებობა არასრული სამი წლით, საბჭოთა რუსეთის მიერ განხორციელებული ოკუპაციამდე, 1921 წლის 25 თებერვლამდე იარსება.

მისაბაძი ახალგაზრდა, რომელმაც თავი გამოიჩინა მედიცინის სფეროში და მოიპოვა მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი

დასაწყისი 1-ელ გვ.-ზე

– ბატონო ზვიად, პროფესიაში დახელოვნების მიზნით რომელი კურსები გაიარეთ და სად?

– სამედიცინო უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ თბილისში გავიარე რეზიდენტურის კურსი შინაგან მედიცინაში.

– რომელიმე საზოგადოების წევრი ხომ არ ბრძანდებით?

– ევროპის ათეროსკლეროზის ასოციაციის წევრი ვარ 2015 წლიდან.

– მუშაობა სად დაიწყეთ პირველად და ამჟამად სად მუშაობთ, რომელ პოზიციაზე?

– მუშაობა დავიწყე საქართველოს „საპატრიარქოს თერაპიულ კლინიკაში“ 2010 წელს, ახლა ვმუშაობ კლინიკა „პალმედიში“ ექიმად, ასევე ვმუშაობ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის შინაგან დაავადებათა პროპედევტიკის დეპარტამენტში მოწვეულ პედაგოგად.

– თერაპია მედიცინის რომელი დარგია და რა მნიშვნელობა აქვს ადამიანის ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად?

– თერაპია შინაგანი მედიცინის დარგია, რომელიც მიმართულია ადამიანთა ჯანმრთელობის დაცვის, დაავადებების თავიდან აცილებისა და მკურნალობისაკენ, ქრონიკული დაავადებების მართვისაკენ.

– რა მოთხოვნებია თერაპევტის სერთიფიცირებისათვის, განათლების რა საფეხურების გავლა უწევს მომავალ თერაპევტს?

– ბაკალავრიატის დამთავრების შემდეგ აუცილებელია სამწლიანი რეზიდენტურის კურსის გავლა შინაგან მედიცინაში.

– თქვენს კლინიკაში რომელი დაავადებების მქონე პაციენტებს მკურნალობთ?

– კლინიკა „პალმედიში“ სიმპტომურ მკურნალობას ვუტარებთ პალიატიურ (განუკურნებელი დაავადებების) მქონე პაციენტებს, ვზრუნავთ მათი ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებაზე.

– პაციენტთა მკურნალობაში თუ გაქვთ სიახლეები დანერგილი?

– პალიატიური მკურნალობა შედარებით ახალი მიმართულებაა საქართველოში, შესაბამისად ყოველდღიურად ვცდილობთ გადმოვიტანოთ სიახლეები უცხოურ გამოცდილებაზე დაყრდნობით.

– რა სიმპტომები ახასიათებს გულის დაავადებებს და როგორ ავიცილოთ თავიდან?

– კარდიო-ვასკულური დაავადებებიდან ყველაზე გავრცელებულია ესენციური ჰიპერტენზია, რომელსაც ძირითადად ახასიათებს ტკივილი კეფის არეში, ყურებში შუილი, გულის ფრიალის შეგრძნება, დისკომფორტი გულ-მკერდის არეში, თუმცა ხშირად ჰიპერტენზია მიმდინარეობს სრულიად უსიმპტომოდ, პაციენტები ვერ გრძნობენ სიმპტომებს, სწორედ ამიტომ ჰიპერტენზიას „ჩუმ მკვლელსაც“უწოდებენ. აუცილებელია ადამიანმა ყურადღება მიაქციოს უსიმპტომო ფორმასაც კი და მიიღონ ანტიჰიპერტენზიული მედიკამენტები ექიმის დანიშნულებით, რათა თავიდან ავიცილოთ ჰიპერტენზიით გამოწვეული შესაძლო გართულებები: გულის უკმარისობა და ჰემორაგიული ინსულტი. ზოგადად კარდიო-ვასკულური დაავადებების პრევენციისათვის აუცილებელია ჯანმრთელი ცხოვრების სტილი, აქტიური ცხოვრების სტილი, მავნე ჩვევებისგან (თამბაქოს და ალკოჰოლის) თავის შეკავება.

– როგორია ინსულტის ნიშნები და როგორ ავიცილოთ თავიდან?

– ინსულტის უფრო გავრცელებული ფორმაა იშემიური ინსულტი. დაავადებას ახასიათებს: თავის ტკივილი, თავბრუსხვევა, მეტყველების გაძნელება, ცნობიერების დაქვეითება, პირღებინება, ძალის დაქვეითება კიდურებში ან სრული დამბლა, სახის ასიმეტრია, მოძრაობის შეზღუდვა და კოორდინაციის დარღვევა, ყლაპვის გაძნელება. დაავადების რისკ-ფაქტორებს მიეკუთვნება: ასაკი 65 წელს ზემოთ, სქესი (მამაკაცებში უფრო ხშირია), გენეტიკური წინასწარგანწყობა, ასევე რისკფაქტორებს მიეკუთვნება სხვადასხვა დაავადებები: არითმიები, არტერიული ჰიპერტენზია, ათეროსკლეროზი, შაქრიანი დიაბეტი, მიოკარდიუმის გადატანილი ინფარქტი. დაავადების პრევენციისთვის აუცილებელია ჯანმრთელი ცხოვრების სტილი და რა თქმა უნდა არსებული დაავადებების არსებობის შემთხვევაში ოჯახის ექიმის მეთვალყურეობა, ლაბორატორიული ტესტების განსაზღვრა.

– რატომ გვეკვანძება ფეხის კუნთები და როგორ დავაღწიოთ თავი მისგან გამოწვეულ ტკივილს?

– ქვემო კიდურების კრუნჩხვები შესაძლოა სხვადასხვა მიზეზით იყოს გამოწვეული: შესაძლოა კუნთების გადაძაბვას ახლდეს თან, შესაძლოა ვარიკოზული დაავადებებისთვის იყოს დამახასიათებელი, წვივის კუნთების, კრუნჩხვის ძირითადი მიზეზია კუნთებში კალციუმის, კალიუმის, ნატრიუმის ცვლის დარღვევა. ზუსტი მიზეზის დასადგენად აუცილებელია მიმართოთ ექიმს.

– ბატონო ზვიად, როდის დაიცავით დისერტაცია და როგორი შეფასება მიიღეთ?

– 2022 წელს დავიცავი დისერტაცია უმაღლესი შეფასებით.

– რთული იყო დისერტაციაზე მუშაობა, როგორ დაძლიეთ პრობლემები?

– იყო რა თქმა უნდა სირთულეებიც, მაგრამ ჩემი ხელმძღვანელების დახმარებით გადავლახეთ ყველა პრობლემა.

– ვინ გეხმარებოდათ დისერტაციის მომზადებაში და როგორ აფასებთ ამ ადამიანების მხარში დგომას?

– მინდა დიდი მადლობა გადავუხადო ჩემს ხელმძღვანელს და პროფესორს ვერა კაპეტივაძეს, პროპედევტიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელ, პროფესორ რევაზ თაბუკაშვილს ჩემს მიმართ გაწეული დახმარებისათვის, მათი წვლილი დიდია ჩემი დისერტაციის მომზადებაში.

– ბატონო ზვიად, ახლა თქვენი ოჯახის შესახებ მოგვიყევით, რას საქმიანობენ, ყვარელთან რა გაკავშირებთ?

– მამა მოქმედი გეოლოგია, დედა მოქმედი ბუღალტერი, ჩემი ძმა ეკონომისტია, ამჟამად თბილისში ვცხოვრობთ ყველა, მაგრამ როგორც კი თავისუფალი დრო გვაქვს, სიხარულით ჩამოვდივართ ყვარელში.

– თქვენი ბიძაშვილები ექიმები არიან, სად საქმიანობენ და დისერტაციის დაცვისთვის თუ ემზადებიან?

– დიახ, ჩემი ბიძაშვილი ქირურგი ერეკლე გრატიაშვილი, პროქტოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელია აკადემიკოს ფრიდონ თოდუას კლინიკაში, ერეკლე 2023 წელს ასრულებს დოქტორანტურას და დარწმუნებული ვარ დიდი წარმატებით დაიცავს დისერტაციას; ავთო გრატიაშვილი კი ფიზიოთერაპევტია ბერლინის კერძო კლინიკაში.

– გმადლობთ ბატონო ზვიად საინტერესო საუბრისთვის, გისურვებთ პირველ რიგში ოჯახის შექმნას და წარმატებებს თქვენს მეტად საპასუხისმგებლო საქმიანობაში.

ესაუბრა
ალექსანდრე გიგილოშვილი

დაუვიწყარი დღე ნიკო ჭავჭავაძესთან ერთად

ძვირფასო მკითხველო, ალბათ მოსაწყენი იქნებოდა ადამიანის სიცოცხლე მოგონებების გარეშე. ჩვენდა საბედნიეროდ არის დაუვიწყარი დღეები, რომლებიც ავსებენ და ალამაზებენ ჩვენ ცხოვრებას. ერთი ასეთი მნიშვნელოვანი ეპიზოდი მინდა გავიხსენო. ვფიქრობ, ახალგაზრდობას აინტერესებს გარდასული დღეების ამბები, ღირსეული ადამიანების ცხოვრება და მოღვაწეობა.

1989 წელია, იმ პერიოდში ვმუშაობდი საქართველოს კომპარტიის ყვარლის რაიკომში ინსტრუქტორად. ბარაქიანი შემოდგომაა, რთველი დამთავრებულია, ყურძნის მოსავალი დაბინავებული. პარტიის რაიკომში ასეთი ტრადიცია იყო – წარმატებული რთველის შემდეგ ღონიერი ქართული სუფრა იშლებოდა რომელიმე თანამშრომლის ოჯახში და ამას „შემოდგომის ზეიმს“ ვეძახდით.

გადაწყდა, ასეთი ღონისძიება ჩემს ოჯახში გამართულიყო. სექტემბრის ერთი მზიანი, თბილი დღეა; მოსაღამოვდა, ტრადიციული ქართული სუფრა გაშლილია. რაიკომის თანამშრომლები პირველ მდივანს თემურ ოსეფაშვილს ველოდებით; შემოგვითვალა – თბილისდან ბატონი ნიკო ჭავჭავაძეა ჩამობრძანებული, თქვენ დაიწყეთ და ჩვენ მოგვიანებით შემოგიერთებითო.

სუფრას მივუსხედით, როგორც ოჯახის წარმომადგენელს და მასპინძელს, თანამშრომლებმა თამადობა მე მთხოვეს. მაგიდა სავსეა ქართული კერძებით, შევსვით ტრადიციული სადღეგრძელოები, ისმის სუფრული სიმღერა, რომ იტყვიან ბახუსი ბატონობს სუფრაზე.

დაღამდა, ქუჩაში ლამპიონები აინთო, სახლიც გავაჩახჩახეთ. მორიგი სადღეგრძელო ჩავამთავრეთ და ამ დროს შემობრძანდნენ ბატონი ნიკო ჭავჭავაძე და თემურ ოსეფაშვილი, სუფრა გახალისდა. ჩვენ სიყვარულით აღსვასე გულებით მოვეფერეთ ჭავჭავაძეთა დიდებული გვარის ღირსეულ წარმომადგენელს. ბატონმა ნიკომ სადღეგრძელო ითხოვა, ოჯახი დალოცა, მშვიდობა და სიკეთე გვისურვა ყველას.

ღხინი გრძელდება, კარგად შევქეიფიანდით, საქართველოს დიდი მოჭირნახულის ილია ჭავჭავაძის სადღეგრძელო შევთავაზე სუფრის წევრებს და ალავერდი მოწიწებით ვთხოვე ბატონ ნიკო ჭავჭავაძეს. ბახუსით გათამამებულმა საუბარი ისე დავიწყე – „მე და ილია ჭავჭავაძე ერთ ეზოში გავიზარდეთ, ბედნიერი ბავშვობა მქონდა, მის მამულში ბევრი ხე, ბუჩქი და ყვავილი ჩემი დარგულია –მეთქი და გავაგრძელე“...

ბატონმა ნიკომ გაკვირვებულმა შემომხედა, ალბათ იფიქრა, რომ ღვინო მომერია; მიყურებს და მეუბნება: „ჰო შვილო, იცის, იცის, მაგაზე მეტიც იცის“. ახლა მე შევხედე გაკვირვებით და ვეკითხები: „ბატონო ნიკო, ვინ რა იცის?“ მისი პასუხი იყო: „ღვინომ იცის შვილო, ღვინომ“.

მივუხვედი ნათქვამს, უცბად გამოვფხიზლდი და გამინათდა გონება. ბატონ ნიკოს შევკადრე და მოკრძალებით მივმართე: „ღვინის ბრალი არ არის, პირდაპირი გაგებით არ მითქვამს, რომ მე და ილია ჭავჭავაძე ერთ ეზოში გავიზარდეთ. იმის თქმა მინდოდა, რომ ილია ჭავჭავაძის მუზეუმის მეზობლად ვცხოვრობ, ჩემი ბავშვობა დიდი ილის კარ-მიდამოში გავატარე, შემდგომ წლების განმავლობაში ვმუშაობდი მუზეუმში და ა.შ“....

ბატონმა ნიკომ ალალი ღიმილით შემომხედა და გულმართლად მითხრა: „ჰო შვილო, რატომღაც ვიფიქრე, რომ ღვინომ დაგჯაბნაო“. ასეა, დიდ ადამიანებს ახასიათებთ უბრალოება, სისადავე და პირდაპირობა. ნიკო ჭავჭავაძე იმ წუთებში ბედნიერი იყო. იგი თავის ხალხთან, თავის მიწა-წყალზე იდგა, ჭავჭავაძეთა საუფლოში.

ჭავჭავაძეების სახელხმიანი გვარის წარმომადგენლებმა ღრმა, ნათელი და კეთილი კვალი დატოვეს საქართველოს ისტორიაში. ჭავჭავაძეთა ყვარლის შტოს წარმომადგენლები ისტორიულ წყაროებში მე-15 საუკუნის პირველი ნახევრიდან იხსენიებიან.

ნიკო ჭავჭავაძის უშუალო წინაპარი, დიდი ნიკო ჭავჭავაძე (1830-1897 წ.წ.) მრავალი ღირსებით შემკული და გამორჩეული პიროვნება გახლდათ. კავალერიის გენერალი, ყირიმის (1853-1856 წ.წ.) და რუსეთ-ოსმალეთის (1877-1878 წ.წ.) ომების აქტიური მონაწილე, დაღესტნის სამხედრო გუბერნატორი (1883-1893 წ.წ.).

დიდმა ნიკო ჭავჭავაძემ თავდაუზოგავი მოღვაწეობით და ქველმოქმედებით უდიდესი სახელი მოიხვეჭა. იგი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა ახალგაზრდების სწავლა-განათლებას. ბევრ სხვა სიკეთესთან ერთად, მან ყვარლელებს სალოცავად და სანუგეშოდ დაგვიტოვა ჭავჭავაძეთა საგვარეულო ეკლესია, წმინდა იოანე ნათლისმცემლის შობის სახელობის შესანიშნავი ტაძარი. გარდაცვალების შემდეგ კი თავისი სურვილისამებრ აქვე პოვა საბოლოო განსასვენებელი.

დიდი ნიკოს ღირსეული შთამომავალი, ჭეშმარიტი ქართველი მამულიშვილი, ფილოსოფოსი, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ნიკო ჭავჭავაძე ყვარლის მადლიან მიწაზე დაიბადა 1923 წლის 5 მაისს. იგი დიდი ილიას იდეებზე აღიზარდა და ჩამოყალიბდა როგორც კაცი, როგორც ფილოსოფოსი, მეცნიერი და მოაზროვნე. ის მეორე მსოფლიო ომის აქტიური მონაწილე იყო და მძიმე ბრძოლების ქარცეცხლი ვაუკაცურად განვლო.

მე მგონია, საჭირო არ არის მკითხველისათვის ჩამოვთვალო საფეხურები, რომლებიც ბატონმა ნიკო ჭავჭავაძემ გაიარა სამეცნიერო დაწესებულებებში მუშაობის პერიოდში. ერთს კი ვიტყვი: ბატონი ნიკო სამი ათეული წელი ხელმძღვანელობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტს. მან ილიასებური სიღინჯით, სიღრმითა და შეხედულებებით დიდი ღვაწლი დასდო ქართული ფილოსოფიის განვითარებას. როგორც კაცს, არ შემიძლია არ გამოვხატო ჩემი უღრმესი პატივისცემა მისადმი, როგორც მეცნიერისადმი, როგორც მამულიშვილისადმი და უბრალოდ ადამიანისადმი.

1997 წლის თებერვალში ყვარელში, ჭავჭავაძეთა საგვარეულო ეკლესიამ მიიბარა დიდი მამულიშვილის ნიკო ჭავჭავაძის ნეშტი. იგი განისვენებს თავისი საამაყო შვილის, საქართველოს ეროვნული გმირის ზურაბ ჭავჭავაძის გვერდით. მისი უკვდავი სული კი მარად თან სდევს მის მშობლიურ ყვარელს.

ბატონი ნიკო ჭავჭავაძე დღეს უკვე საქართველოს მდიდარი და დიდებული ისტორიის კუთვნილებაა. 5 მაისს მისი დაბადებიდან 100 წელი შესრულდა.

დიდი ილია ბრძანებს: „არ ვიცით, სხვა როგორ ჰფიქრობს და ჩვენ კი ასე გვგონია, რომ ერის დაცემა და გათახსირება მაშინ იწყება, როცა ერი – თავის საუბედუროდ, თავის ისტორიას ივიწყებს. როგორც კაცად არ იხსენიება ის მაწანწალა ბოგანა, ვისაც აღარ ახსოვს – ვინ არის, საიდამ მოდის და სად მიდის, ისეც ერად სახსენებელი არ არის იგი, რომელსაც ღმერთი გასწყრომია და თავისი ისტორია არ ახსოვს“.

დიახ, წმინდა ილია მართალი ჭეშმარიტებას ღაღადებს. საკუთარი ისტორია უნდა ვიცოდეთ და მუდამ გვახსოვდეს.

ჩვენთან არს ღმერთი!

ოთარ დავითაშვილი,
ფაზისის აკადემიის კახეთის მხარის რეგიონული ცენტრის ხელმძღვანელი

ისინი იყვნენ ღირსეული შვილები ჩვენი ქვეყნისა, ჭეშმარიტი ინტელიგენტები, მეცნიერები, აქტიური მოქალაქეები, საზოგადოების ზნეობისა და კეთილდღეობისთვის მებრძოლი რაიდები...

(ინტერვიუს აქტუალურობის გამო და გაზეთის მკითხველთა თხოვნით იბეჭდება განმეორებით)

5 თებერვალი ღირსსახსოვარი თარიღია ერის ისტორიაში, რადგან ამ დღეს დაიბადა ეროვნული გმირი, ყვარლელი ჭაჭავაძეების უკანასკნელი შთამომავალი ზურაბ ჭავჭავაძე, რომელიც ქვეყნის უდიდესი პატრიოტი და ეროვნული მოღვაწე გახლდათ. ბატონ ნიკოსთან და ბატონ ზურაბთან ახლო ურთიერთობაში იყო ყვარლის იოანე ნათლისმცემლის ტაძრის მოძღვარი, დეკანოზი ბენიამინ ჩიხორლიშვილი, ამიტომაც ვთხოვეთ გამოენახა დრო და მათ შესახებ გვესაუბრა.

– მამაო ბენიამინ, წელს, 5 თებერვალს საქართველოს ეროვნულ გმირს, ეროვნული დამოუკიდებლობის თვალსაჩინო მოღვაწეს, ზურაბ ჭავჭავაძეს დაბადებიდან 69 წელი შეუსრულდა. როგორი ურთიერთობა გქონდათ მასთან?

– პირველად ზურაბი 1979 წლის 30 სექტემბერს გავიცანი, როდესაც ის, როგორც უწმიდესის მდივანი, უწმიდესთან და მის თანმხლებ პირებთან ერთად მობრძანდა ჩვენი ერის სულიერი მამის ნაკვნარში. ამ დღიდან დაიწყო ჩვენი ურთიერთობა და სამწუხაროდ, მხოლოდ 10 წელი გაგრძელდა, იმ საბედისწერო ბორითის ავარიამდე...

იმ დროს წმინდა ილია მართლის მუზეუმს სათავეში ედგა ცნობილი პოეტი, პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე ილო ბეროშვილი. მასთან, ილიას ეზო-კარში ხშირად იკრიბებოდნენ ხოლმე ახალგაზრდები: ზურაბ ჭავჭავაძე, მერაბ კოსტავა, თამარ ჩხეიძე და მადლიან მიწაზე გეგმავდნენ ჩვენი ერის გაღვიძებას, ბრძოლას იდეისათვის:"ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს". მათ სხვა ყვარლელ გულშემატკირებთან ერთად, მეც სულ თან ვახლდი, როგორც წმინდა ილია მართლის მუზეუმის ერთი ყველაზე ახალგაზრდა მსახური, ილიას იდეებითა და მრწამსით გულანთებული... ბრძოლის იდეა კი ასეთი იყო: თავისუფლებისათვის მებრძოლი ერი უნდა გამოსულიყო მარადიული სიბნელიდან – მხოლოდ უფლის რწმენა შეაძლებინებდა ერს ებრძოლა მაღალი იდეალებისათვის. რაც შეიძლება მცირე დროში უნდა გახსნილიყო ბოქლომდადებული წმიდა ტაძრები, რათა უფლისაკენ შემობრუნებულიყო ერი.

სულიერების გზაზე შემდგარი ქვეყნისათვის მსახურება, ჭავჭავაძეების საგვარეულო ტაძარში, სწორედ მე მომანდეს ბატონმა ილომ, ჩემმა სულიერმა აღმზრდელმა, ჩემმა უფროსმა მეგობარმა და ზურაბ ჭავჭავაძემ, როცა ამოიკითხეს ჩემს თვალებში სიყვარული, სულში სიკეთე და რწმენა. ყველაზე მძიმე აგური მარგუნა ღმერთმა ჩვენი ქვეყნის თავისუფლების დიდ ბასტიონზე, ღმერთისა და რწმენის საკურთხეველზე დასადებად. მას შემდე სამათეულ წელზე მეტი გავიდა და ვცდილობ იმედი არ გავუცრუო ჩემს უსაყვარლეს ადამიანებს, ერთგულად ვემსახხურო უფალს და ჩემს ყვარლელებს და მინდა ცოტათი მაინც მივემსგავსო წმინდა ილია მართლის თხზულებებში აღწერილ იდეალურ მოძღვარს.

– საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმიდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ ილია ჭავჭავაძე წმინდანად შერაცხა. ამ მნიშვნელოვანი მოვლენის სულისამდგმელი და ინიციატორი ზურაბ ჭავჭავაძე გახლდათ. თქვენს თუ იღებდით მონაწილეობას ამ მნიშვნელოვან პროცესში?

– წმინდა ილია მართლის წმინდანად შერაცხვის იდეა სწორედ ყვარელში, მის ეზო-კარში დაიბადა. უწმიდესი ზურაბთან ერთად, ალავერდობის შემდეგ, ყოველწლიურად შემოივლიდა ხოლმე ბატონ ილო ბეროშვილთან, მუზეუმის დირექტორთან და ჰქონდათ სჯა-ბაასი ქვეყნის საჭირბოროტო საკითხებზე, მათ შორის ილიას წმინდანად შერაცხვაზე, რომელიც ჩვენი ერის უგვირგვინო მეფემ თავისი შრომითა და ღვაწლით და სამშობლოსადმი თავგანწირვით, ნამდვილად დაიმსახურა. წმინდანის კანონიზაციისათვის, საჭირო შეიქმნა ხელმოწერების შეგროვება მისი მშობლიური კუთხიდანაც, რომლის ორგანიზაციაც მე დამავალეს. შევაგროვე ხელმოწერები და ბატონ ილოს დანერილ, ილიას ცხოვრებისა და ღვაწლის ამსახველ ვრცელ ტექსტთან ერთად, ჩავუტანე ზურაბ ჭავჭავაძეს თბილისში, ილია ჭავჭავაძის საზოგადოების ოფისში. ეს ყველაფერი საქართველოს სხვა კუთხეებიდან მოსულ ხელმოწერებთან ერთად, წარადგინა მან წმინდანის ინტრონიზაციისთვის დანიშნულ წმინდა სინოდის სხდომაზე. წმიდა ილია მართლის წმინდანად შერაცხვიდან 20 წლის შემდეგ, ჯერ კიდევ არ იყო დაწერილი მისი სავედრებელი პარაკლისი, რასაც ძალიან განვიცდიდი. მეუფე სერგის (ჩეკურიშვილი) ლოცვა-კურთხევით, უკვე როგორც სასულიერო პირმა, გავბედე და შევადგინე ეს პარაკლისი, რომლითაც ყოველწლიურად, წმინდა ილია მართლის დაბადების, გარდაცვალების და მისი ანგელოზის დღეს აღვუვლენთ ხოლმე ჩვენი ერის სულიერ მამას.

– სამწუხაროდ ავტოავარიამ იმსხვერპლა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერი მერაბ კოსტავა, ხოლო მასთან ერთად მყოფი ზურაბ ჭავჭავაძე გადარჩა, მაგრამ სამთვიანი მკურნალობის შემდეგ საეჭვო ვითარებაში გარდაიცვალა. ეს ხომ ჩვენი ერის ტრაგედია იყო?

– ნამდვილად ეს იყო ჩვენი ერისთვის უმძიმესი ტრაგედია, რომ 1989 წლის 13 ოქტომბერს, სოფელ ბორითთან მომხდარი ავტოკატასტროფის შედეგად გარდაიცვალა საქართველოს ეროვნული გმირი – მერაბ კოსტავა, ხოლო მეორე ეროვნული გმირი – ზურაბ ჭავჭავაძე კი მძიმედ დაშავდა. მკურნალობის შედეგად, რომელიც უტარდებოდა თბილისის ნევროლოგიურ ინსტიტუტში, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა ნელა, მაგრამ დღითიდღე უმჯობესდებოდა, მაგრამ მდგომარეობა საბედისწეროდ გაართულა მოულოდნელად შეყრილმა ბოტკინის დაავადებამ. ძნელი სათქმელია, რა იყო ამისი ნამდვილი მიზეზი, საბჭოთა სისტემაში ყველგან გამეფებული დანაშაულებრივი დაუდევრობის, თუ სხვა რამ.

– ზურაბ და ნიკო ჭავჭავაძეებთან რა ურთიერთობა გქონდათ და როგორ შეაფასებთ მათ მიერ გაწეულ ღვაწლს სამშობლოს წინაშე?

– ჭავჭავაძეები ყოველთვის ფარად ედგნენ ჩვენს ტანჯულ ქვეყანას და ჩვენს დროშიც, მამა-შვილი – ნიკო და ზურაბ ჭავჭავაძეებიც დაუღალავად ზრუნავდნენ ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის და მისი ნათელი მომავლისათვის. ზურაბი იყო ერთ-ერთი ყველაზე ნათელი და კაშკაშა ვარკვლავი ჩვენი ქვეყნის ეროვნული მოძრაობისა. იგი დღითიდღე იზრდებოდა, როგორც პოლიტიკოსი და შეუდარებლად მეტსაც გააკეთებდა ერის საკეთილდღეოდ, რომ დასცლოდა...

ბევრჯერ შევხვედრივარ ზურას თბილისში თუ ყვარელში და ყოველი მასთან შეხვედრა დღესასწაული იყო ხოლმე ჩემთვის. მეამაყებოდა, რომ ყვარლელი იყო, ჭავჭავაძეანთ დიდებული გვარის შთამომავალი, წმინდა ილია მართლის ნათესავი სულითაც და ხორცითაც, კაცი ყოვლად გონიერი, ილია ჭავჭავაძის საზოგადოების თვალისჩინი. ძნელი იყო ხოლმე მისი პოვნა, რამდენჯერ ავსულვარ მასთან სამეცნიერო-ტექნიკური თარგმანის მთავარ სარედაქციო კოლეგიაში, ან ილია ჭავჭავაძის საზოგადოების ოფისში და დავლოდებივარ. მარტო მე კი არა, ყველა ეძებდა და ელოდა, ყველას სჭირდებოდა და ისიც ყველგან და ყველასთან იყო, ან როგორ ასწრებდა?

მახსოვს, როგორი დიდი რუდუნებით აღადგინა თავისი წინაპრების საფლავები, როგორ ჩამოიტანა ყაზბეგიდან მწვანე მარმარილოს ქვები და თავისივე ხელით დააწყო. მერე რამდენი ინვალა მშობლიური ეკლესიის გახსნაზეც და თავისი კუთხე ხელმეორედ რწმენისაკენ შემოაბრუნა. მისი სურვილით სასულიერო სემინარიაში შესვლა გადავწყვიტე, მაგრამ იმ წელიწადს ჩაბარება დამაგვიანდა. ზურამ გამამხნევა და თხოვნის წერილი გამატანა სემინარიის რექტორთან:

„ამ ბარათის მომტანი – ჩემი მეგობარი ყვარლელი კაცია. მუშაობს ყვარლის ილია ჭავჭავაძის მუზეუმში ილო ბეროშვილთან. ყოველმხრივ სასურველია, რომ სასულიერო განათლება მიიღოს და ყვარლის ეკლესიის მრევლი გახდეს. წელს ჩაბარება დაუგვიანდა... ჩემი უმოჩილესი თხოვნაა მისცეთ პირველი კურსის საგნების წიგნები – და კონსპექტები, რათა მოემზადოს და გაისად მეორე კურსზე დაჯდეს, რომ დრო არ გაუცდეს. 30 წლისაა, სამი შვილის მამა, დამთავრებული აქვს პუშკინის სახელობის ინსტიტუტი, ხელოვნებათმცოდნეობის მეორადი ფაკულტეტი და უცხო ენების ორწლიანი კურსები.

ბოდიშს გიხდით პირადად, რომ ვერ მოვედი, უახლოეს ხანში გინახულებთ“.

ზ. ჭავჭავაძე 25.01.88 წელი.

შემდეგ, როდესაც ჩავაბარე სასულიერო სემინარიაში გამოცდები და ჩავირიცხე, მართლაც მეორე კურსზე დამსვეს. პირველად მასთან გავიქეცი, რომ მეხარებინა და მადლობა მომეხადა ჩემდამი დიდი ყურადღებისა და თანადგომისათვის.

ოქტომბრის თვის ხუთშაბათი იყო, საღამო. ბრიფინგზე ეჩქარებოდა მეგობრებთან ერთად. ორიოდე სიტყვის თქმაღა მოვასწარი: ზურა, ჩავირიცხე, მეორე კურსზე მიმიღეს, მადლობელი ვარ ყველაფრისათვის, ვეცდები კარგად ვისწავლო, არ შეგარცხვინო და არ შევარცხვინო პირველ რიგში ჩვენი ყვარელი და სამშობლო მეთქი. კმაყოფილების ღიმილმა გადაურბინა დაღლილ სახეზე და მითხრა, ეხლა მეჩქარება და მაპატიე. შემდეგ რომ შეგხვდები, დიდი სალაპარაკო მაქვს შენთანო. მაგრამ, ეს იყო ჩვენი უკანასკნელი შეხვედრა. რას ვიფიქრებდი, რომ მის საგვარეულო ეკლესიაში, მის მიერვე აღდგენილ და მოვლილ საფლავთა გვერდით, სხვებთან ერთად, მეც მომიწევდა მის სამარეზე მშობლიური მინის მიყრა და მათი დიდი საძვალის მომვლელად და მცველად დარჩენა...

რაც შეეხება ბატონ ნიკოს, მასაც მუზეუმში მუშაობის დროიდან ვიცნობდი. მეგობრობდა ის ბატონ ილოსთან და როცა ყვარელში შემობრძანდებოდა, აუცილებლად შემოუვლიდა ხოლმე მას

გაგრძელება მე-4 გვ.-ზე

ფერთა სამყაროში მოგზაური

როცა ის მუშაობდა სამხედრო კომისარიატში; მოსწავლე ახალგაზრდობის სახლში და ბაგა-ბაღების გაერთიანებაში. დღეს ქალბატონი ლია ყვარლის მუნიციპალიტეტის მერის თანაშემწეა და წარმატებით უთავსებს სამსახურებრივ და ოჯახურ მოვალეობებს – თავის შემოქმედებით საქმიანობას.

ვფიქრობთ, ჩვენი გაზეთის მკითხველებისათვის საინტერესო იქნება ბლიც-ინტერვიუ პოეტთან, რომლის სამყარო სავსეა ხალასი ფერებით, სიცოცხლის სიყვარულით და უფლის დიდებით.

– როცა მუზა მოდის... ეს ნიშნავს, სასწრაფო განმარტოების საჭიროებას; ყველაფრისგან მოწყვეტას და იმ გზავნილის დაფიქსირებას, რაც, მოცემულ მომენტში დაუშვეს ჩემთვის „ზემოდან“.

– ბავშვობა... ბუმბულივით მსუბუქი და გულუბრყვილო ბედნიერების ხანა.

ბავშვობაში ერთი რიტუალი მქონდა: დაბადების დღეს ვულოცავდი საკუთარ თავს. სამზადისს წინა დღეს ვიჭერდი: ვამზადებდი განსაკუთრებულ მისალოცბარათს, მუყაოს ქაღალდზე გადავაკრავდი ფურცელს, ნაპირებზე ვაწებებდი გაზაფხულის პირველი ყვავილების და ფოთლების ფრაგმენტებს, კედლის კალენდრიდან ამოვიწერდი 29 მარტს დაბადებული ცნობილი ადამიანების სახელებს და „ვაშალაშინებდი“ მისალოცტექსტს, დაახლოებით ასეთს: „ძვირფასო ლია, შენ დაიბადე იმ დღეს, როცა დაიბადნენ... (ცნობილი ადამიანები კალენდრიდან)... გისურვებ მიბაძო მათ... და ასე შემდეგ... მოზრდილი ტექსტი იყო, ჩაწიკწიკებული – მილოცვა-დალოცვის სახით. ჩემი დღე რომ გათენდებოდა, მისალოცი ბარათით ხელში გავიდოდი ეზოში, დავდგებოდი აყვავებული ჭერმის ხის ძირში (უზარმაზარი ხე იყო), და საამო სურნელებაში და ფუტკრების ზუზუნის ხმაში ხმამაღლა, საზეიმოდ ვუკითხავდი ჩემს თავს მისალოცტექსტს! ის რიტუალი ჩემთვის იყო განსაკუთრებული სტიმული (როგორც მოგვიანებით აღმოვაჩინე – ერთგვარი აუტო ტრენინგი), ის განცდა ჩემთვის – ყველა საჩუქარს აღემატებოდა...

– მოგზაურობა... ჩემს შემთხვევაში, უფრო საინტერესო – სულიერი მოგზაურობის შესახებ სათქმელია. ბავშვობიდან ვმოგზაურობ ენით აუწერელ და გამოუთქმელ ფერების სამყაროში, სადაც ადამიანების სახელებს თავისი საკუთარი ფორმა, ფერი და, თქვენ წარმოიდგინეთ, სურნელიც კი აქვს, ხოლო, რიცხვით სისტემას გააჩნია საკუთარი ტრაექტორია – ზრდადობის მიხედვით. პატარა ვიყავი, ახლობლებს რომ მოვუყევი ამის შესახებ და...ბევრი იცინეს... მეწყინა და დიდხანს გავჩუმდი. შემდეგ, უკვე თსუ-ს სტუდენტმა (როცა ამ თემაზე ჩემს ლექტორთან, რეჟისორ მერაბ ჯალიაშვილთან მომიწია საუბარი) უბედნიერეს ადამიანად ვიგრძენი თავი, რომ, თურმე, მარტო არ ვარ ამ სამყაროში ასეთი „უცნაური“!

– უთქმელი სათქმელი... ასეთი ბევრი მაქვს. სამყარო ისეთ სასწაულებს, განცდებს, და ემოციებს გვჩუქნის, რომლის გადმოცემა, გამოთქმა ყოველად წარმოუდგენლად მიმაჩნია! არადა, რა კარგი იქნებოდა სათქმელად!

– მეგობრობა... მიყვარს ადამიანები. ბევრთან მიწევს ყოველდღიური ურთიერთობა, რაც დადებითი ენერგიით მავსებს. ვისაც მეგობარი ჰქვია, ასეთი ჩემს ცხოვრებაში რამდენიმეა: ყვარელში და საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. ერთ მეგობარს ლექსი მივუძღვენი, რომელიც, ზოგადად გამოხატავს ჩემს დამოკიდებულებას მეგობრობის მიმართ:

* * *

ყველა ტკივილს მოევლება,
შეხორცდება ხორციელი იარები,
სულის ტკივილს დაიყუჩებ
მეგობრით და
უფლის წმინდა ზიარებით.
სულს რა სტკივა,
არ არს ბრბოის განსაკითხი,
მარტოსულებს
დაუბურავთ სევდის ჩალმა,
სულს რა სტკივა –
ნუ ინვალებ თავს მაგ კითხვით;
იცის მხოლოდ
უფალმა და
მეგობარმა!

– ოჯახი... ეს არის ჩემი კომფორტის ზონა. ჩემი ქმარ-შვილი – ჩემი საგანძურია! მაბედნიერებს ის ფაქტი, რომ ჩემი შვილებისთვის დედაც ვარ, მეგობარიც და მრჩეველიც! ერთად ვგეგმავთ მნიშვნელოვან საკითხებს და ერთად ვახორციელებთ. მიუხედავად იმისა, რომ ჩემი მეუღლე ძალოვან სტრუქტურებში მოღვაწე პირია და ლიტერატურასთან არ აქვს შეხება, დიდი ინტერესით ეცნობა სიახლეებს ჩემს პოეზიაში. მისი მორალური მხარდაჭერა დიდი სტიმულია ჩემთვის.

– დედა... ჩემი მონატრებული... ჩემი დიდი ტკივილი... ჩემი მფარველი ანგელოზი მიღმიერ სამყაროდან! დაუსრულებლად შემიძლია მასზე ვისაუბრო... სულ თვალწინ მიდგას და ვერ ვინელებ იმ დარდს, რაც მან გამოიარა სიცოცხლის ბოლო ათი წლის განმავლობაში, სრულმა უსინათლომ და მძიმე ავადმყოფმა. იმ ათი წლის განმავლობაში როლები გავცვალეთ...მე გავხდი მისი დედა, მისი თვალები ვიყავი... მჯერა, რომ იმქვეყნად დასრულდა მისი უსინათლობა... დიდ ნათელშია და ყველაფერს ხედავს.

გარდაცვლილ დედას

დედი, მნათობის კართან მიხვედი,
შეხსენ სამყაროს გრძედი, განედი,
შემოითენე ქორფა სინედლით,
მარცვალ-ხალასი სიკამკამეთი...
ყურში ჩამესმის შენი ხმა, თბილი,
ტანჯული, მაინც ცამდე კეთილი..
დედა – ბერმუხა, ტოტებ-ათლილი,
ათი წლით ბნელში გამოკეტილი...
როგორ დაეხსენ, მე ვიცი ერთმა,
ბოროტ ლაბირინთს განსაცდელების,
ამაოებამ, ჟამით ნათეთქვმა,
ვერ დაგისვარა თეთრი ხელები....
მსხვერპლ-წართმეული ეშმა ღრიალებს,
ნირ-წახდენილი შურით ღრიჭინებს...
შენ კი…დაუსხლტი მსახვრალ-ტიალებს,
გადარჩი, მადლი შემოირჩინე!
დასრულდა ბნელი, მზემ გადაფერა...
უცქერ სამოთხის ბაღებს ხილიანს...
მიდი, მომართე ფრთები საფრენად,
ახლა ოთხივე გზაი ხსნილია!

– სევდიანი დღე... როცა აღმოვაჩინე, რომ დედ-მამის გარეშე, მათი დიდი მონატრების სევდით უნდა მეცხოვრა!

– ფიქრი ჩემთვის... ცოცხალი ადამიანის თავი – ფიქრების კოშკია! ფიქრს რა გამოლევს! ყველა ფიქრზე რომ წერდეს ადამიანი, მრავალტომიან ბიბლიოთეკას შექმნიდა.

– მინანია... როგორ არ მინანია, თანაც, მთელი არსებით: რატომ არ ჩავიწერე ჩემი ბებიების მონაყოლი ამბები წინაპრების შესახებ, ის ხომ ცოცხალი არქივი იყო! ამ სინანულს, ალბათ, ჩემი ასაკის ადამიანები განიცდიან, ახალგაზრდობაში ეს თემა ნაკლებად აფიქრებს ბევრს...

– შეურაცხყოფილი ვრჩები... როცა აკნინებენ ჩემი ქვეყნის ღირსებას, ისტორიას, კულტურას, რწმენას... აქილიკებენ და აუგად მოიხსენიებენ რაც წმინდაა და სანუკვარი ქართველებისთვის, მართლმადიდებლებისთვის!

– ახალი დილა... ეს სიტყვები ჩემთვის პოზიტიურ მოლოდინს ნიშნავს: ყოველ საღამოს მჯერა, რომ ახალი დილა რაიმე ახალს და სასიკეთოს მოიტანს. ჩემი დევიზია: „ხვალ თუ არა – ზეგ! ზეგ თუ არა – მალე...ეშველება რამე ამ სამყაროს!“

– უფლისთვის სათქმელი...

შემოქმედს

სამყაროს გვირგვინს დავუდგეთ ფეხზე,
სხვა რამ დიდება – მასთან მტვერია!
იესო, ფეხქვეშ გაგიფენ ლექსებს,
უშენოდ არც რა დამიწერია!
ყოველი წუთი, ყოველი წამი,
შელამება თუ ცისკრის გალობა,
გულის სიმღერა, თვალთა ცვარ – ნამი,
ესაა მხოლოდ შენი წყალობა!
განცდათა ზღვაში ბევრჯერ ვიწვალე,
ბევრჯერ ამებნა გზა სალოცავის,
ათჯერ შეცდომილს ასჯერ მიწყალე,
ასიათასჯერ შენ დამიცავი!
აჰა, ღელვათა მიქცევ-მოქცევა
წუხილის ლოდებს სადღაც მირიყავს,
ამაოების ქრება გოდება,
იესო, როცა გულში მიზიხარ!

– თავისუფლება ჩემთვის... – ნიშნავს – საკუთარ თავთან პირნათლად მყოფობას. ყოველ ადამიანში ორი ძალაა ჩატეული: დემონური და ღვთიური. ამ ეპოქის მოდური ტრენდი – აღვირახსნილობა, უხამსობა, ბილწსიტყვაობა, ქაოსი – მიჩნეულია პიროვნული თავისუფლების გამოვლინებად. მე კი მიმაჩნია, რომ თავისუფალი (ჩემი თავის უფალი) მაშინ ვარ, როცა იმას ვაკეთებ, რაც ჩემს უფალს მოეწონება ჩემში.

– ტაძრამდე მიმიყვანს... სიყვარული! ეს სიტყვა ვისაც ბანალურად ეჩვენება, გულით მებრალება! რა აბოროტებს ადამიანებს? – სიყვარულის ნაკლოვანება. სანამ ცოცხალი ვარ და პირში სული მიდგას, ბავშვივით უნდა ვზარდო ჩემში სიყვარული! ესაა ჩემი დანიშნულება და მოვალეობა. ესაა ჩემი სული, ჩემი პოეზია და ღმერთი.

ბლიც-ინტერვიუს უძღვებოდა
დალი ტატულიშვილი

უდიდესი სულიერი ტკივილი – მამა ბენიამინი

ღვთის განგებით არიან ადამიანები, რომლებიც ამქვეყნად საკუთარ წარუშლელ კვალს ტოვებენ. ასეთი გახლდათ ჩვენი მამა ბენიამინი – საოცარი ადამიანი, წმინდა გულით, წრფელი სულით; მშვიდი, თავმდაბალი, ყურადღებიანი, ერთგული, შრომისმოყვარე; მტკიცე და მრავალშვილიანი ოჯახის პატრონი. მას გააჩნდა უზომო სიყვარული ღმერთისა და მოყვასისა.

მამა ბენიამინის ცხოვრების გზა მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა: ჭეშმარიტი ღვთისმსახური, ნიჭიერი პედაგოგი, პოეტი, მწერალი, საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი, ქ. ყვარლის საპატიო მოქალაქე. მან თავისი უმწიკვლო ცხოვრებით და საქმიანობით ბევრი რამ გვასწავლა. იგი სამაგალითო იყო თავისი მრავალი ღირსებით. მასთან ურთიერთობა საოცარი სიმშვიდის და სიხარულის მომგვრელი იყო.

მამა ბენიამინმა სწორი ცხოვრებით იღვაწა და ყოველთვის კარგად ახსოვდა წმინდა ილია მართლის ბრძნული შეგონება:

„გებრალებოდეს, ნუ ჰრისხავ
კაცს შენზედ შურით მწდომსაო!...
კეთილი ფარად უფარე
შენთვის ბოროტის მდომსაო,
მადლისა წყაროს ასმევდე
ცოდვის გუბეში მდგომსაო“.

და თავადაც ამ შეგნებით ირჯებოდა, იღვწოდა და იწვოდა სანთელივით.

მას მხოლოდ სიყვარული შეეძლო.

მე მქონდა ბედნიერება, რომ ნებისმიერ დროს მეკითხა მისთვის რჩევა სხვადასხვა საკითხებზე და მიმეღო



ამომწურავი, აზრიანი პასუხები. მამა ბენიამინს ჩემთვის ხშირად გაუზიარებია საკუთარი ოცნებები და ფიქრები; ჩვენ ძალიან კარგად გვესმოდა ერთმანეთის. იგი განსაკუთრებით ახლობელი იყო ჩემთვის. ილია ჭავჭავაძის ყვარლის სახელმწიფო მუზეუმში მუშაობის პერიოდში ჩვენ ერთად გავიარეთ მუზეუმის დირექტორის, დიდი მამულიშვილის, პოეტ ილო ბეროშვილის მკაცრი, მაგრამ სამართლიანი ცხოვრების სკოლა.

უდიდესი სულიერი ტკივილი – მამა ბენიამინი, ღმერთისგან მადლმინიჭებული მოძღვარი, ნათლია, მეგობარი!

ბენიამინი – ეს სახელი იმდენად ახლობელი და ძვირფასია თითოეული ჩვენთაგანისთვის, იმდენად მშობლიური, თბილი; იმდენად ნაცნობი და შინაურია, რომ ზოგჯერ შეიძლება ძალიან ჩვეულებრივად, ბუნებრივად და ზედმეტად უბრალოდაც კი წარმოვთქვათ იგი.

როგორ ზუსტად მიესადაგება მის სამაგალითო ცხოვრებას ჩვენი უფროსი მეგობრის, პოეტ ავთანდილ გაფრინდაშვილის შესანიშნავი ლექსის ერთი ამონარიდი:

„რაც ვაკეთე, თქვენთვის მსურდა,
თქვენთვის ვმღერდი თავიდან,
თქვენთვის მსურდა, თორემ მე
თან არაფერს წავიტან...“

დიდი ილია გვმოძღვრავს: „ისე იცხოვრე, რომ როცა შენი შვილები იფიქრებენ ღირსებაზე და სამართლიანობაზე, შენ გაგიხსენონ!“

დიახ, მამა ნებიამინმა ღირსეულად და სამართლიანად იცხოვრა. მისი საქმიანობა მუდმივად იყო მიმართული უფლის სადიდებლად, ეკლესიისა და მამულის სასარგებლოდ, ჩვენი ცოდვილი სულების საცხონებლად. იგი მხოლოდ საკუთარ მძიმე ჯვარს არ ატარებდა, ღვთის ნებით სხვისი მძიმე ჯვარიც ხშირად უტარებია. მამა ბენიამინის კაცთმოყვარე, ღირსეული ცხოვრება ჩვენთვის იქცა მისაბაძ მაგალითად.

მამა ბენიამინი სინას მთაზე წმინდა ადგილების მოსალოცად შემთხვევით არ წასულა. იგი ღმერთის ნებას დაემორჩილა. აკი ბრძანებს თავის ერთ-ერთ საოცარ ლექსში:

„ვფიქრობ მომავალზე,
სულის ცხონებაზე...
მინდობილ ვარ ღმერთზე,
მხოლოდ მის ნებაზე.
ლოცვის უსასრულო
ჯაჭვი გამიბია...
ჩემი გულის კარი
ღვთისთვის გამიღია.
ღმერთო არ დამტოვო,
ხელში ამიყვანე.
ცოდვის სადგურიდან
შენთან წამიყვანე!“

და, ჰა, ისმინა ღმერთმა მამა ბენიამინის ვედრება, და წაიყვანა იქ, სადაც მართალნი განისვენებენ.

თუკი რამ არის გარდაუვალი ამ წუთისოფელში – ეს სიკვდილია. მაგრამ მამა ბენიამინმა სინას მთაზე თავისი გარდაცვალებით ულმობელი სიკვდილი დაამარცხა. თუმცა ჩვენ დღემდე ვერ შევეგუეთ და ვერ შევეჩვიეთ მის გარდაცვალებას.

ჭეშმარიტებაა – ჩვენს გვერდით ცხოვრობენ ადამიანები, რომელთა წასვლა ამ ქვეყნიდან ქალაქს თუ სოფელს იერს უცვლის და სხვანაირი ხდება; ასეა მამა ბენიამინის შემთხვევაში.

ღრმა მოწიწებით ვხრი თავს უკეთილშობილესი ადამიანის, მამა ბენიამინის ხსოვნის წინაშე. ამასთან ვფიქრობ, განა გარდაცვალება ყოველთვის დასასრულს ნიშნავს?

არა!

მაშ, მშვიდობით საოცარო ადამიანო!

ოთარ დავითაშვილი,
ფაზისის აკადემიის კახეთის მხარის რეგიონული ცენტრის ხელმძღვანელი

ისინი იყვნენ ღირსეული შვილები ჩვენი ქვეყნისა, ჭეშმარიტი ინტელიგენტები, მეცნიერები, აქტიური მოქალაქეები, საზოგადოების ზნეობისა და კეთილდღეობისთვის მებრძოლი რაიდები...

დასაწყისი მე-3 გვ.-ზე

სანახავად. არაერთხელ გავუგზავნივარ ბატონ ილოს მასთან საქმეზე ფილოსოფიის ინსტიტუტში თუ ბინაზე. ზურას გარდაცვალების შემდეგ კი, უფრო ახლოს გავიცანი, ხშირად მოდიოდა ხოლმე ტაძარში და უყვარდა შვილის საფლავთან მარტო დარჩენა.

დიდია ნიკო და ზურაბ ჭავჭავაძეების მიერ გაწეული ღვაწლი სამშობლოს წინაშე. ისინი, როგორც მათი სახელოვანი წინაპრები, იყვნენ ჩვენი ქვეყნის ერთგული მსახურნი, მისი ტრადიციებისა და კულტურის დამცველნი და განმავითარებელნი. თითოეული მათგანის საზრუნავი იყო კულტურული ფასეულობების დამკვიდრება და განმტკიცება. ისინი იყვნენ ღირსეული შვილები ჩვენი ქვეყნისა, ჭეშმარიტი ინტელიგენტები, მეცნიერები, აქტიური მოქალაქეები და საზოგადოების ზნეობისა და კეთილდღეობისათვის მებრძოლი რაინდები, დიდი პოტენციალის მქონე ეროვნული მოღვაწეები, კეთილშობილი პიროვნებები და ბრწყინვალე მამულიშვილნი.

– ნიკოს და ზურაბს ძალიან უყვარდათ მშობლიური ყვარელი და მამა-პაპეული სახლ-კარის დაბრუნებაზე ოცნებობდნენ. ბოლოს სიმართლემ გაიმარჯვა, თქვენი აზრი როგორია?

– აქამდეც უნდა დაბრუნებოდათ, მაგრამ სჯობს გვიან, ვიდრე არასოდესო, ნათქვამია. ჭავჭავაძეები იყვნენ ყვარლის აღმაშენებლები და ზურას შთამომავლობის ყვარელში დაბრუნებით, იმედია მრავალი კარგი საქმე გაკეთდება და სასიკეთოდ წაადგება ისევ ყვარელს და ყვარლელებს. ამაში კი დაგვეხმარება ყველას ისევ ჩვენი ეროვნული გმირის – ზურაბ ჭავჭავაძის უკვდავი სული:

„ნათლისმცემელს ჩაუხუტავს ძვლები,
ჭავჭავაძეთ უღალატო გვარის...
მათთან ერთად, ეროვნულ
გმირს ვხვდები,
და ვლოცულობ მომავალზე ხვალის“.

ზურაბის მსგავსი ეროვნული გმირები უმრავლოს უფალმა ყვარელს და ჩვენს სამშობლოს. ის „საქართველოსთვის შეწირული წარსდგა უფალთან და კვალი მისი, დევის იყო, კაცის კი არა“.

ალექსანდრე გიგილოშვილი
გაზეთი „ყვარელი“ 2022 წელი, 14 თებერვალი

პოეზია უპირველეს ყოვლისა

დასაწყისი 1-ელ გვ.-ზე

– დიდი მადლობა, ბატონო ოთარ! თუ ეს საზოგადოების აზრია ჩემს შესახებ, მაშინ, ნამდვილად მიმიღწევია დასახული მიზნისთვის.

– ჩვენ ზოგად შტრიხებში ვიცით თქვენი ბიოგრაფია. რას ეტყვით მკითხველს მოკლედ თქვენი შემოქმედებისა და განვლილი ცხოვრების შესახებ?

– მე ერთ პატარა, იმერულ სოფელ ბალღოჯიანში დავიბადე, 1957 წლის 15 აპრილს და ჩემი პიროვნებად ჩამოყალიბება მოხდა საუკეთესო ადამიანების გარემოცვაში. ჩემი მშობლიური სოფელი ერთი დიდი სამეგობროა, სადაც ჭირი და ლხინი განუყოფელია.

სკოლაში მასწავლიდნენ ომის ქარცეცხლში ნაწრთობი ადამიანები. დირექტორი შალვა მოდებაძე შემიყვანდა ხოლმე სამასწავლებლოში და ლექსებს მაკითხებდა... მასწავლებლები ტაშს მიკრავდნენ – მომავალი პოეტიაო! – ამბობდნენ ღიმილით... მე კი, მეოცნებე, პატარა გოგონა, მეცხრე ცაზე დავფრინავდი... ამ გადასახედიდან ვხედები, რომ ჩემი პედაგოგები მაქებდნენ და მხარს მიჭერდნენ, ჩემში პოეტი ჩამოყალიბებულიყო...

ეზოებში ვარდი და
კორდზე ყვავის იანი...
ახლაც მეიმედება,
ჩემი ბალღოჯიანი!

სოფელში ცხოვრობდა სახალხო მთქმელი, ნიჭიერი ადამიანი შალვა კობახიძე, რომელიც ჩემს ლექსებს კითხულობდა, მაქებდა მეწერა, მეუბნებოდა კეთილი ღიმილით, – წერე, გოგონა, შენ მომავალი პოეტი ხარო!

ჩემმა სოფელმა ქართულ პოეზიას გაუზარდა დიდი პოეტი, ყველასათვის საყვარელი პიროვნება, რომელიც უდროოდ გარდაიცვალა – ავთანდილ გაფრინდაშვილი.

მივიღე ფილოლოგიური განათლება, რამაც დიდად შეუწყო ხელი ჩემს პოეტურ ნიჭს, განვითარებაში.

– ჩვენ ყველა, დროის შვილები ვართ. როცა თქვენს განვლილ ცხოვრებას იხსენებთ, რას ფიქრობთ ახლა? ყველაფერი რაც მაშინ გწამდათ, დრომ ხომ არ წაშალა?

– მიუხედავად იმისა, რომ მე მყარი შეხედულებების მქონე ადამიანი ვარ, მაინც მოხდა ბევრი რამის გადაფასება ჩემს მიერ.

ცხოვრება უკან რომ დაბრუნდებოდეს, სულ სხვაგვარად წარვმართავდი მას.

– თქვენ მართალი და პირდაპირი ადამიანი ბრძანდებით. როგორ უყურებთ „მოყვარეს პირში უძრახეს“ პოლიტიკას?

მთელი ცხოვრება ვასრულებ,
მინაწერს გულის არეზე:
– ვიყო სიმართლის, სიკეთის
უბრალო კაცის მხარეზე!

ისიც ვიცი, რომ სიმართლე ერთია და ყველაზე ძლიერი ადამიანი მაშინ ხარ, როცა მას ემსახურები, თუმცა:

„სიმართლის მთქმელს შეკაზმული
ცხენი ჰყავდეს უნდა!“
ასე არის დღეს და გუშინ,
ასე იყო მუდამ!
ასი გიღრენს, ასი გიყეფს,
ერთი ხარ და მარტო...
გაჩუმება რომ სჯობია,
ვერ ისწავლე რატომ?!
შენ მართალო, ვერ ეჩვევი,
მლიქვნელობას, ლიქნას...
წრფელი სიტყვა რომ დაფასდეს,
ისეთი დრო იქნას!

– ადამიანში რა თვისებებს აფასებთ ყველაზე მეტად?

– გულწრფელობას. მაგრამ სამწუხაროდ:

ფარისევლობამ გადათელა
თბილი გულები
და გულწრფელობა ღიმილ-ღიმილ
დაასამარა...
ლამაზი სულის გულწრფელობას
აღარ აქვს ფასი,
სიმართლე დარჩა მარტოსული,
სევდისამარა...
და როცა მიხვდა, აქ მიწაზე ვერ
შეიფერეს,
ფრთები გაშალა, ცის ტატნობზე
შეკრა კამარა!

– ცნობილი პოეტი ხართ. ჩვენ გვყვარს თქვენი პოეზია. მკითხველთა სიყვარულს და პოპულარობას ხელი ხომ არ შეუშლია თქვენთვის? ან იქნებ, პირიქით?

– ჩემი, როგორც პოეტის ბედნიერება იმაშია, რომ ხალხს მართლაც, უყვარს ჩემი ლექსები და მათ გულში ბევრი ჩემი ლექსი დამიკარგავს.

ყველა პოეტი ოცნებობს:

„ნეტავ, ერთ დღეს, ყველა
ლექსი დამეკარგოს
და სუყველა ხალხის გულში
მაპოვნინა!“

ხშირად მქონია შემთხვევა, როცა ჩემი ლექსები, სრულიად უცხო ადამიანებს წაუკითხავთ ისე, რომ მათ არც სცოდნიათ, ამ ლექსების ავტორის იქ ყოფნის შესახებ. მე მახარებს ის, რომ ჩემი ლექსები „საქართველოს ყველა კუთხეს „მივაშვილე“.

– როგორ წერთ ლექსებს? ყველა დროს თანაბარზომიერად? ღამით უფრო გეწერებათ თუ დღისით?

– შეიძლება, ქუჩაში მოვისმინო ადამიანების დიალოგი, ან რაიმე ქმედებას შევესწრო, რომელმაც ჩემზე შთაბეჭდილება მოახდინოს, დარჩეს ჩემს გონებაში. ჩემი გული ბევრი ადამიანის ტკივილს თუ სიხარულს ინახავს... ისინი მენდობიან, თავისი ცხოვრების შესახებ მიამბობენ. იციან, თანაგრძნობის გარდა, ჩემგან არაფერს მიიღებენ, მაგრამ თანაგრძნობა დიდი ნუგეშია სულიერი განსაცდელის ჟამს... მერე მათი ტკივილი ჩემს გულში და გონებაში რჩება საფიქრალად და იწერება ლექსად, რომელშიც ასი მკითხველიდან, ოთხმოცდაათი თავს ამოიცნობს, მისეულ განცდებს დაინახავს... მე თვითონ არ ვიცი, ეს ლექსი როდის დაიბადება, ამიტომ, ჩემთვის კალამი და ფურცელი ყველგან და ყოველთვის დევს...

მინდა, აქვე დავძინო, არამარტო ლექსებს, არამედ მოთხრობებსაც ვწერ. უბრალოდ, ყველაფრის გამოცემას, რაც სჭირდება, იციი. სულ მალე გამოვა ჩემი დოკუმენტური წიგნი ტოპონიმ – „ბოგირზე“ – სახელწოდებით „ბოგირი და ბოგირელები“.

– რა დროს ანდომებთ ლექსის ენის დახვეწას? როცა შავად დაამთავრებთ, ბევრს შლით? ბევრს ასწორებთ? გიხდებათ თუ არა რამდენჯერმე გადაწერა?

– ხდება ხოლმე, რომ „ერთი ამოსუნთქვით“ იწერება და შემდეგ, ერთი კვირა, ან ერთი თვე რომ გავა, ხელახლა გადავხედო, მივამატო, ან გამოვაკლო რაიმე აზრი, ან ლოგიკური თანმიმდევრობა მომეჩვენოს დარღვეულად... როგორც ფილოლოგი, კრიტიკულად ვუყურებ თითოეულ ფრაზას, რიტმს, რითმს, მხატვრულ ხერხებს და სანამ ხალხის გულამდე მივა, ბევრჯერ ვაკეთებ ლექსის ჩასწორებას.

– თუ დაგიწერიათ ლექსი სხვის მიერ შემოთავაზებული წინადადებით, იდეით?

– კი, მქონია ხოლმე ასეთი შემთხვევა. ამ რამდენიმე დღის წინ, მხატვარმა ავთანდილ სამუკაშვილმა მაჩვენა ფერწერული ტილო, რომელიც ჯერ არ ჰქონდა დამთავრებული: დუქანში ზის გალაკტიონი და მინის ქილიდან „ქინძმარაულს“ სვამს... ავთანდილმა მიამბო, როგორ შედიოდა ამ დუქანში ვინმე მახარე, თითქმის ყოველდღე. ჩანთიდან იღებდა მინის ქილას, შიგ წყალს გამოავლებდა და მიკიტანს სთხოვდა, „ქინძმარაულით“ შეევსო. ერთ დღეს დიდი პოეტი შესწრებია ამ ამბავს, მოსწონებია გალაკტიონს, როგორი ნეტარებით სვამდა უცხო ადამიანი მზესავით აელვარებულ „ქინძმარაულს“... უთხოვია მახარესთვის მინის ქილა და მასაც იმავე ქილიდან შეუსვამს... დამეგობრებულან და ლხინიც გაუმართავთ ერთად პაპა მახარეს და გალაკტიონს... სურათით გადმოცემულმა ამბავმა, ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა და ნახატი ლექსად ვაქციე – „ლხინი დუქანში“. ლექსი დიდია, ამიტომ ბოლო ნაწილს გაგაცნობთ მხოლოდ:

მერე იმ ქილით ბევრი რამ ითქვა...
დუქანში მზე და მთვარე იწვოდნენ...
პაპა მახარემ და დიდმა გალამ,
ღვინის და კაცის ფასი იცოდნენ!
რამდენჯერ შესვეს
მზესადღეგრძელო,
თვითონ ქილაშიც კი მზე ესვენა...
ჩვენც შევსვათ ახლა: – პაპა მახარეს
და დიდი გალას იყოს ხსენება!

– თქვენი ლექსებიდან გამორჩეულად რომლები გიყვართ? რომლებზე ფიქრობთ, რომ სათქმელი შედარებით უფრო ზუსტად გადმოეცით?

– ჩემი პოეზიის სავიზიტო ბარათია ლექსი „ადამიანი“.

ადამიანი

ისე ლამაზად უნდა იცხოვრო,
არ მიაყენო არვის ზიანი.
მათხოვარი რომ მათხოვარია,
მასშიც ეძებო ადამიანი!
თუ მის ღირსებას ფეხქვეშ გათელავ,
სულში, რომელსაც უმღერს იანი,
მაშინ მხეცი ხარ, კაცი კი არა,
არც უნდა გერქვას ადამიანი!
სჯობს, სულში ია-ვარდი ახარო,
ეს არასოდეს არის გვიანი.
შეძლებ, განდევნო სული ბოროტი,
თუკი კაცი ხარ, ადამიანი!
ბოროტ ზრახვებზე მაღლა დადექი,
ეს არასოდეს არის გვიანი,
მეც წაგაქეზებ: „მიდი, ამაღლდი,
შენ ხომ კაცი ხარ, ადამიანი!“
ნუ დაიფასებ ამპარტავნებას,
თავმდაბლობა სჯობს,
გულდარდიანი.
სული ეძებე: სათნო,კეთილი,
კაცში ეძებე ადამიანი!
ყველა ბალახი, ბალახი არის,
ვაჟას უყვარდა დეკა-ღვიანი.
ილიას სევდას მთანიც კვნესიან:
„ყველა კაცია ადამიანი?!“
გაზულუქებულს ნუ გაუღიმებ,
სული არა აქვს სანდო, მთლიანი.
თავმდაბალს, სათნოს
გულით მიენდე,
მხოლოდ ის არის ადამიანი!
ცრუსა და მავნეს ნუ დაიფასებ,
არ მიაყენო შენს სულს ზიანი,
უბრალო კაცის რწმენით იცხოვრე,
იყავი მართლა ადამიანი!
იქნებ, შეცდომაც ბევრი მოგსვლია,
მაგრამ არასდროს არის გვიანი:
გამოსწორდე და სხვებისთვის გახდე
სამაგალითო ადამიანი!
სხვის ტახტრევანზე გული
ნუ გწყდება,
„დრონი მეფობენ, არა – მეფენი!“
ამაღლებული სულით იცხოვრე,
კარგ ადამიანს როგორც შეჰფერის!
ყოველი სიტყვა ანონე ისე,
სხვისი სული არ დააზიანო!
შენთვის არავის დაესვას კითხვა:
„რა დაგიშავე, ადამიანო?!“
ჩემი ოცნება, აუხდენელი,
დიდი ხანია რჩება ოცნებად:
კაცში ფასობდეს სინდის-ნამუსი,
თავმდაბლობა და პატიოსნება!

* * *

ვინც მზედ იღვრება
დაჩაგრულთათვის,
ღიმილზე – ღიმილს არ აგვიანებს,
იღბალთან ლელო გაატანინე,
უფალო, ასეთ ადამიანებს!

– ნამდვილ პოეტს ვერ მოატყუებ, ვერ მოისყიდი, ვერ დაიმონებ. პოეზიაში მამხილებელი პათოსის ავკარგიანობაზე რას გვეტყვით?

– მე ვარ ლირიკოსი, არ ვწერ სუბიექტურ განცდებზე. ჩემი პოეზიის ფუნდამენტი ორი თემაა – „სამშობლო და ადამიანი“. ვწერ ადამიანთა ჭირ-ვარამზე, მათ განცდებზე, სევდაზე, სიხარულზე. ხშირად შემოუჩივლიათ ადამიანებს თავისი საწუხარი, საფიქრალი... მე ის ლექსად მიქცევია, ასეთი ლექსები ბევრის განცდას ეხმიანება.

ლექსი ის არის, რომელშიც ადამიანები თავის ცხოვრებას დაინახავენ. რაც შეეხება მამხილებელ პათოსს, მანკიერი მხარეების ასახვა, ზოგადად პოეზიის დანიშნულებაა.... აბა, რისთვის დევნიდნენ ნამდვილ პოეტებს, მწერლებს, რეჟისორებს?!

რისთვის დახვრიტეს ტიციანი, ჯავახიშვილი, ახმეტელი?! რისთვის მიიყვანეს თვითმკვლელობამდე პაოლო იაშვილი?! – იმისთვის, რომ მათი შემოქმედება სიმართლეს ემსახურებოდა, როგორც თქვენ თვითონ ბრძანეთ: ნამდვილი შემოქმედის დამონება შეუძლებელია! ძლიერების კი სუსტებს ყოველთვის შურდათ! ძალა იარაღში კი არა – გონებაშია:

მტერი მყავდეს, მტრად რომ ღირდეს,
ძალა ვცადო ღონიერი!
სუსტი ბრძოლად არცა ღირს და
მტერიც მინდა გონიერი!

ვით მუცალი უნდა ღირდეს,
კლდე-ღრეებში გასაკიდად,
მარჯვენას არც მე მოვჭრიდი,
„ქავის კარზე“ დასაკიდად!

ისეთს არას არ ჩავიდენ,
სხვისგან გავხდე გასაქირდი,
მტერი იყოს, ბრძოლად ღირდეს,
კლდე-ღრეებში გასაკიდი!

მთელი ცხოვრება ვეძებ, ვპოულობ და გვერდიდან არ ვიშორებ გულწრფელ ადამიანებს!

– როგორ უცქერით ჯანსაღ კრიტიკას? შეასრულა თუ არა კრიტიკამ თქვენს შემოქმედებაში რაიმე როლი?

– ჩემი ლექსების კრიტიკოსი მე თვითონ ვარ. შეიძლება ითქვას, „ცხრილში ვატარებ“ თითოეულ სიტყვას, ბგერას, ფრაზას, მხატვრულ ხერხებს, რათა ლექსი ლოგიკურად იყოს შეკრული აზრით და ემოციით, სანამ იგი მკითხველის გულამდე მივა. თუ როგორ ვახერხებ, ეს გადმოცემული მაქვს ლექსში „პოეზიას“, აი, ნაწყვეტი ამ ლექსიდან:

მზეს გამოვტაცე თბილი ღიმილი,
ვაჟას – გამხმარი წიფლის ფესვები...
მერე, იმ ფესვთა ნაზი ძაფებით,
ერთად შევკარი მზის სხივთა კონა,
ლექსი შევაგდე გამოსაბრძმედად,
სხივთა ავანთე ჭიაკოკონა!
იმ ათინათში გამოვატარე,
სულით გაეწმინდე ჩემი ლექსები!
გავანაზე და გავასპეტაკე,
სხვის ლექსებს რატომ დავესესხები?!
ო, პოეზიავ! სულის სიმაღლის
და აღმაფრენის ცხრაკად ამყვანო!
მუქი ფერები წალეკავს, ალბათ,
შენ რომ არ იყო, მზიან სამყაროს!

დიახ, სანამ ლექსი მკითხველის გულამდე მივა, თვითონ პოეტი უნდა იყოს ლექსის კრიტიკოსი... გულის, გონების და ემოციის ქურაში უნდა გამოაწრთოს ისე, როგორც ფოლადი ქურაში, რათა იყოს ხმალივით მჭრელი და მოქნეული!

ჩემი აზრით, ნამდვილ პოეტს სამი რამ უნდა ჰქონდეს: ნიჭი, მაღალი ზნეობა და დიდი განათლება, რადგან, როგორც დიდმა შოთამ ბრძანა:

„გული, გრძნობა და გონება,
ერთმანეთზედა ჰკიდია!
რა გული წავა, იგიცა, წავლენ და
მისკენ მიდიან!
უგულო კაცი ვერ კაცობს –
კაცთაგან განაკიდია!...“

– პოეზიაზე საუბრისას გვერდს ვერ აუვლი აწ გარდაცვლილი ჩვენი ძვირფასი მოძღვრისა და შესანიშნავი პოეტის მამა ბენიამინის შემოქმედებას. გასულ წელს თქვენ მას დაბადების დღეზე ექსპრომტად ლექსიც მიუძღვენით. როგორ გაიხსენებდით მამა ბენიამინს?

– დიახ, შარშან მის საიუბილეო საღამოს, იქვე, დარბაზში დავუწერე ლექსი „შემინდე, მამაო!“

ნიღბების ქაოსში
ქოთქოთებს სამყარო,
დავყარე ფარ-ხმალი,
ბრძოლაა ამაო!
მეც ბევრჯერ შევცოდე
და მაინც, ცოდვილი,
უტიფრად ვთხოულობ:
– შემინდე, მამაო!

ლექსი რომ წავუკითხე, სკამიდან წამოდგა, პირჯვარი გადამწერა და მითხრა: – ვიცი, უნიღბო ადამიანი ხარ და დამილოციხარო!

მე და ბენიამინი ახალგაზრდობიდან ვმეგობრობდით, ერთად დავიწყეთ მოღვაწეობა ყვარლის მესამე საშუალო სკოლაში, როგორც პედაგოგებმა.

ჩვენ ტოლებიც ვიყავით და ერთმანეთის თვისებებიც ვიცოდით. მამა ბენიამინს ჩემდამი მიძღვნილი ლექსი აქვს, რომელშიც კარგად ჩანს მისი დამოკიდებულება იზოლდა იოსებიანის პიროვნების, როგორც პოეტისა და როგორც ადამიანის მიმართ.

იგი დიდი ადამიანი, სულიერი მოძღვარი და ნამდვილი პოეტი იყო. ამიტომ დაატირა გულწრფელად მამა ბენიამინი ჩვენი ქალაქის მოსახლეობამ.

– პოეზიაში საყოველთაოდ აღიარებული სახელები არსებობს. თანამედროვე ქართულ პოეზიაში თქვენთვის ვინ არის ყველაზე ახლობელი და საინტერესო პოეტი?

– ბევრი მეგობარი პოეტი მყავს. როგორც ყვარელი, ასევე საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მოღვაწეები. ბევრისთვის აქ, ილიას მუზეუმში ჩამიტარებია პოეზიის საღამო, მაგრამ არ ჩამოვთვლი, ერთიც რომ გამომრჩეს, თავს არ ვაპატიებ.

თუმცა, პოეზიის ცაზე ამომავალ ვარსკვლავს ვხედავ. ეს გახლავთ საბერძნეთში მცხოვრები ქართველი ილია მორანელი, იგივე ილია მამულაძე. ის ბავშვობიდანვე ჩამოყალიბებული პოეტია. ამჟამად 29 წლისაა... ვთვლი, რომ იგი XXI საუკუნის დიდი პოეტია, პოეტი საკუთარი ხმით, თითმყოფადობით... მისი პოეზია სავსეა ულამაზესი რითმებით, მეტაფორებით, ეპითეტებით, შედარებებით, გაპიროვნებით, ალიტერაციით... მისი პოეზიიდან იღვრება დიდი განათლების მქონე პოეტის აზრები, რომლითაც ის ცხოვრების ლაბირინთებში სამოგზაუროდ იწვევს მკითხველს. მე წაკითხული მაქვს მის მიერ 14 წლის ასაკში დაწერილი ლექსებიც. გაოცებული ვარ: ნუთუ, ამას ყურადღება არ უნდა მიაქციონ მათ, ვისაც ეს „ხელეწიფება?!“

დაიმახსოვრეთ ეს სახელი და გვარი – ილია მამულაძე! – ის პოეზიის ცაზე მოკაშკაშე ვარსკვლავია!

– დაბოლოს, რას უსურვებდით ყვარლელ პოეტებს?

– ყვარლელ პოეტებს ვუსურვებ:

„ყველა ლექსი დაეკარგოთ
და სუყველამ
ხალხის გულში
დაიდოს ბინა!“

ქალბატონო იზოლდა, უღრმესი მადლობა გულახდილი და საინტერესო საუბრისთვის.

ესაუბრა
ოთარ დავითაშვილი

ბაქოში საერთაშორისო გამოფენა CASPIAN AGRO 2023 გაიმართა

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მხარდაჭერითა და სოფლის განვითარების სააგენტოს ორგანიზებით, ქ. ბაქოში, სოფლის მეურნეობის საერთაშორისო გამოფენაზე CASPIAN AGRO 2023, 10 ქართულმა კომპანიამ დამთვალიერებელს საკუთრი წარმოების სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია გააცნო.

სტენდზე წარმოდგენილი იყო კომპანიების: აჩინებული, გემუანი, ანიგოზი, ბლუ გარდენი, ჯეო ნატურალი, National Delicacy, ოჯახური, ქვევრის ღვინის მარანი, კავკასუს ორგანიკ ფრუთსი და ფუდოლიზის პროდუქცია – ქართული კაკალი, მოცვი, სხვადასხვა სახის სუნელი, თაფლი, ჩირი, სუბლიმირებული ხილი, ორგანული წვენები და სხვა, რომელიც საერთაშორისო სტანდარტებს სრულად აკმაყოფილებს.

როგორც გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ სოლომონ პავლიაშვილმა აღნიშნა, საერთაშორისო გამოფენებზე ქართული პროდუქციის წარდგენა მნიშვნელოვნად უწყობს ხელს პოპულარიზაციის მასშტაბების და, შესაბამისად, საექსპორტო პოტენციალის ზრდას.

„აზერბაიჯანი საქართველოს სტრატეგიული პარტნიორია. სახელმწიფოს მხარდაჭერით, ჩვენი მეწარმეები და ფერმერები აქტიურად იღებენ მონაწილეობას საერთაშორისო გამოფენაში CASPIAN AGRO. მონაწილეთა უმეტესობა სახელმწიფო პროექტების ბენეფიციარი. ვფიქრობ, ისინი, გამოფენის ფარგლებში, კონტაქტს დაამყარებენ ახალ პარტნიორებთან და აითვისებენ ახალ ბაზრებს“, – განაცხადა სოლომონ პავლიაშვილმა.

მიმდინარე წელს, გამოფენაში მონაწილეობა 25 ქვეყანამ და სოფლის მეურნეობის სექტორში მოქმედმა 500-მდე ადგილობრივმა და საერთაშორისო კომპანიამ მიიღო. CASPIAN AGRO 2023 17 მაისს გაიხსნა და 19 მაისს დასრულდა.

განცხადება

ქალბატონ მერი პატარქლიშვილის წიგნისა და გამოქვეყნებული სტატიების ნახვა დაინტერესებულ მსურველებს შეუძლიათ ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო მუზეუმში. ილია ჭავჭავაძის მუზეუმი მუშაობს ორშაბათის გარდა, ყოველდღე, 10 საათიდან 16 საათამდე.

შეგიძლიათ ასევე გაეცნოთ ყვარლის რაიონის ბიბლიოთეკაში არსებულ მასალებს. იგი დაჯილდოებულია დიპლომით საქართველოს წარმატებული ადამიანები, პერსონა 2022, რეგიონში კულტურის განვითარებისთვის.

ავტორი მერი პატარქლიშვილი არის თვითნასწავლი შემოქმედი, მკვიდრი ყვარლელი.

მზია ხეთაგურის შემოქმედებითი საღამო ყვარელში

– „დასაწყისი ნებისმიერი საქმის მნიშვნელოვანი ნაწილია“ – ჯერ კიდევ დიდ ფილოსოფოს პლატონს უთქვამს. და აი მეც დავიწყე. მინდა გითხრათ, ბავშვობის ოცნება ავიხდინე. ვიცით, რომ ოცნება მშვენიერია, მაგრამ ოცნება მარტო ოცნებით ვერ ახდება, საამისოდ საჭიროა მონდომება, ცვლილებები და შრომა.

ჯერ კიდევ სკოლაში, როდესაც ალექსანდრე ჭავჭავაძის შემოქმედებას გავეცანი და გავიგე მათ ოჯახში გამართული სალონური საღამოების შესახებ, აღტაცებული დავრჩი. მას შემდეგ, მთელი ჩემი შეგნებული ცხოვრება მსურდა, მეც მქონოდა მსგავსი სალონი და სულიერი საზრდოთი დამეტკბო ჩვენთან მობრძანებული ადამიანები.

რათქმაუნდა, ჩემ ოცნებას წლები დასჭირდა, რომ რეალობად ქცეულიყო, მაგრამ მაინც შევძელი და დავაფუძნე ლიტერატურული სალონი, რომელსაც „ხატაური“ დავარქვი. ეს სიტყვა „ვეფხისტყაოსანში“ გვხვდება და მოქარგულს, მოხატულს, სიტყვაქარგულს ნიშნავს. ალბათ დამეთანხმებით, რომ ქართული სიტყვა მართლაც ასეთია, ხოლო სიტყვებისგან მძივად აკინძული პროზა თუ პოეზია იქარგება, იხატება, ცეცხლის ალში გამოიწრთობა და სულს, გულს საანთელივით აანთებს და ააძგერებს.

ჭეშმარიტად ღირებული ისაა, რასაც სხვებისთვის ვაკეთებთ – ესაა ცხოვრების ერთ-ერთი დიდი საიდუმლო.

– პირველი შემოქმედებითი საღამო ლიტერატურული სალონის, მიეძღვნა თანამედროვე გამოჩენილ ქართველ მწერალს, დრამატურგს, პოეტსა და საზოგადო მოღვაწეს, წმინდა გიორგისოქროს ორდენის კავალერს ქალბატონ მზია ხეთაგურს. როგორ ჩაიარა საღამომ?

შთაბეჭდილებები გაგვიზიარეთ.

– დიახ, ლიტერატურული სალონი – „ხატაური“-ს პირველი ღონისძიება მიეძღვნა გამოჩენილ ქართველ პოეტს, მწერალს, დრამატურგსა და საზოგადო მოღვაწეს, წმინდა გიორგის ოქროს ორდენის კავალერს, ქალბატონ მზია ხეთაგურს.

ეს ღონისძიება დაიწყო ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო მუზეუმის დათვალიერებით. აღსანიშნავია, რომ მოწვეულ სტუმრებს ექსკურსიამძღოლობა მუზეუმის დირექტორმა, ქალბატონმა შორენა სეფაშვილმა გაუწიათ, რითაც თავიდანვე მოიხიბლნენ ჩვენი პატივსაცემი სტუმრები.

შემდეგ კი საღამო გაიხსნა ლიტერატურული სალონი „ხატაური“-ს წარდგენით და იმ იდეის გამხელით, რასაც მე წლები გულში ვინახავდი და რამაც დიდი მოწონება დაიმსახურა მოწვეული სტუმრებსა და დამსწრე საზოგადოებაში.

საღამოს შემოქმედებითი ნაწილი გაგრძელდა დიალოგის რეჟიმში. ქალბატონმა მზიამ წაგვიკითხა საკუთარი ლექსები. მოწვეულმა სტუმრებმა ისაუბრეს მის შემოქმედებაზე. პოეტის ლექსები დიდი სიყვარულით წაიკითხეს მისმა მეგობარმა პოეტებმა: თამარ შაიშმელაშვილმა, ჯუბა ღებელმა, ნანა დემეტრაძემ, ციცინო ბაბუციძემ, ჟურნალისტმა ქალბატონმა მაყვალა ლიპარტელიანმა, კულტურის სამინისტროს თანამშრომელმა და წიგნის „ჩემო უკრაინა“ იდეის ავტორმა, გულიკო ზუმბაძემ და ქალბატონმა თამარ აგურაშვილმა.

საღამო დაამშვენეს ლიტერატურული სალონის „ხატაური“-ს შემოქმედებითი ჯგუფის წევრებმა: ირმა ჩოხელმა (მხატვარი და პოეტი), ფიქრია კონჭოშვილმა, მაია სეფაშვილმა – (პოეზიაზე შეყვარებულები) და მაგული სააკიშვილმა (ყველასთვის საყვარელმა ადამიანმა). მათ მხატვრულად წაიკითხეს ქალბატონ მზია ხეთაგურის ლექსები და მისადმი მიძღვნილი სიყვარულით და სითბოთი გამსჭვალული „გამონათქვამები დიდი ადამიანების მიერ“. და ბოლოს ყვარლის ფოლკლორის სახლის ანსამბლმა „ილიელმა“ ავთანდილ ტოჩილაშვილის ხელმძღვანელობით, უზომოდ გაალამაზა და დაატკბო ხალხური სიმღერებით მოწვეული სტუმრებიც და დამსწრე საზოგადოებაც. თამამად უნდა ითქვას, რომ საღამომ, სრული ანშლაგით ჩაიარა.

მოწვეულმა სტუმრებმა მოგვილოცეს სალონი „ხატაური“ – ს დაფუძნება და არ დაიშურეს კეთილი სურვილები.

დასასრულს, ღონისძიების სტუმრებმა ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო მუზეუმის დირექტორს, ქალბატონ შორენა სეფაშვილს მუზეუმისთვის გადასცეს ძვირფასი წიგნები.

– რას გვეტყვით „ხატაური“-ს მომავალ საქმიანობაზე?

– რაც შეეხება ლიტერატურული სალონი „ხატაურის“ მომავალ გეგმებს, ჩემს შემოქმედებითი ჯგუფის წევრებთან ერთად ვფიქრობთ ჩვენს ძვირფას ყვარლელებს უფრო ახლოს გავაცნოთ საქართველოში და არა მარტო, გამოჩენილი ადამიანები – პოეტები, მწერლები და საერთოდ ხელოვანი ადამიანები, შინაურულ სალონურ გარემოში, აგრეთვე, რათქმა უნდა, ყვარელში აღზრდილი, დაფასებული სხვადასხვა პროფესიის ადამიანები.

– ვინ გიჭერთ მხარს ამ საქმიანობაში?

– აქ გაერთიანებულები ვართ ყვარლელი პოეტები, მხატვრები, ექიმები, კულტურის სამსახურის მუშაკები და საერთოდ ნოვატორული ნიჭით დაჯილდოებული კრეატიული ადამიანები.

– თქვენ შემოქმედებაში რა სიახლეებია?

– რაც შეეხება ჩემს შემოქმედებას, გამომცემლობა „ივერიონმა“ 2022 წლის გაზაფხულზე გამოსცა ჩემი რიგით მე-3 პოეტური კრებული სახელწოდებით „მე დავბრუნდები“. (რედაქტორი ქალბატონი მზია ხეთაგური, რომელშიც 141 ლექსია შესული).

„მე, დავბრუნდები როცა არ მელი,
იის პატარა ლურჯი ყვავილი.
ვერ შემაშინებს ქარიშხლის კვნესა,
ვერ შემაშინებს თოვლის ფანტელი.
მე, დავბრუნდები, როცა არ მელი,
მოვალ ცის ნამად მზის სხივთა ფერში,
გამორჩეული და მოკამკამე... და...
შენს სხეულზე ცრემლად დავდნები.
მოვალ ვარსკვლავად,
სინათლის მფენო,
გულს გაგინათებ, როცა არ მელი...
მთვარე შუქს როცა ამოანათებს
სხივად ვიქცევი და მოგეხვევი.
მე დავბრუნდები, როცა არ მელი...
ცისარტყელების ფერებად გშვენი...
ია იებსაც დაგიფენ ფერხთით,
ციცინათელად გულს დაგებნევი.

2013 წლიდან ვარ საქართველოს მწერალთა, შემოქმედთა კავშირის წევრი და 2022 წელს გადმომცეს სიგელი (ნაყოფიერი შემოქმედებითი მოღვაწეობისათვის) სახელწოდებით „თამარიონის ენდალმა“.

აგრეთვე 2022 წელს გამომცემლობა „მწიგნობარმა“ გამოსცა წიგნი „ჩემო უკრაინა!“ (ქართველი მწერლების სოლიდარობა უკრაინას), რედაქტორი პოეტი თამარ შაიშმელაშვილი, ხოლო იდეის ავტორი გულიკო ზუმბაძე. აღნიშნულ კრებულში შეტანილია ჩემი ლექსიც, რომელიც მიეძღვნა მარიოპოლში დაღუპულ ბავშვებს.

ბავშვი შეიბრალეთ, ბავშვი!
სადღაც ვიღაცას სცივა,
კარებს აჭრიალებს ქარი,
კედლებიც ძლივსღა დგანან,
ისმის კვნესის ხმა – ჩქამი...
სადღაც ვიღაცას შია,
თავშესაფარში აწვიმს
და ზამთრის მკაცრი დილა,
ბავშვის კვალდაკვალ დაძრწის...
ვიღაც შეშაზე ზრუნავს,
ვიღაც მოჰყოლია ზვავში...
ვიღაც კი სუფრას მართავს,
მოლხენით ლაღობს დარში...
უმძიმესია ყოფა...
ცრემლი არ შრება, ქარში.
მტრედის დათოვლილ ბუმბულს,
სისხლის ფერები წაშლის...
ისმის კაკანი ტყვიის,
ცა დაბნელდება წამში...
სადღაც ვიღაცა გმინავს...
ბავშვი შეიბრალეთ, ბავშვი!

გამომცემლობა „წიგნიერმა“ 2022 წელს გამოსცა ანთოლოგია ქართული პატრიოტულ-სასულიერო პოეზიის კრებული, ანუ „ღმერთი, სამშობლო, ადამიანი!“ მთავარი რედაქტორი ქალბატონი მზია ხეთაგური, იდეის ავტორი ნათია თაბაგარი. აღნიშნულ კრებულში ჩემი ორი რელიგიური ლექსია შესული – 1„მოდიოდა ნინო მთებით“ და „ქრისტე აღდგა“.

მოდიოდა ნინო მთებით
მოდიოდა და მოჰქონდა, კურთხევა
და მძიმე ჯვარი,
უფლის დიდი სიყვარული, იყო მისი
თანამგზავრი.
გზად იხილა მან ჩვენება და ხმა ესმა
უფლის,
რომ ქართველი ხალხი ეხსნა,
ექადაგა გულით!
ჯვავახეთის მთებს მოადგა ნინო
ქრისტეს ჯვარით,
საქართველოს მთებმაც იწყეს
მდაბლად დაკვრა თავის.
რადგან ნინო მოდიოდა, ხელში
ვაზის ჯვარით,
იფრქვეოდა სხივი ყველგან, ღვთის
მადლით და ძალით!

რაც შეეხება მომავლის გეგმებს: ამ

ეტაპზე ვმუშაობ რელიგიური ლექსების კრებულის გამოცემაზე. თითქმის დამთავრებულია. რედაქტორობა ითავა ან გარდაცვლილმა ყვარლის დეკანოზმა მამა ბენიამინმა (ჩიხორლიშვილმა), რომელმაც რეცენზიაც კი წინასწარ დამიწერა, თითქოს გული რაღაცას უგრძნობდა.

– ანუ, ყველაზე კარგი შემფასებელი და დამფასებელი თქვენი ლექსების იყო მამა ბენიამენი. როგორ გიხსენებდით მას და მის მოღვაწეობას?

– უპირველესად, მინდა აღვნიშნო ჩემი დიდი სიყვარული და პატივისცემა მამა ბენიამინისადმი. მას ბავშვობიდან ვიცნობდი, იგი ჩემი ძმის, ზაზა ლაღიძის კლასელი იყო და ჩემი რელიგიური თუ საერო ლექსების დიდი შემფასებელი. მამა ბენიამინი, როგორც სასულიერო პირი და ადამიანი, უაღრესად ნიჭიერი, მოყვასის შემცოდებელი, მანუგეშებელი, გამგები, უპატიოსნესი მოძღვარი იყო ყვარლის იოანე ნათლისმცემლის ტაძრისა და ყვარლის მრევლის უსაზღვროდ მოყვარული.

მამა ბენიამინმა საუკეთესო ლექსი მომიძღვნა:

ნუნუ – ნინოს...
მარტო ვით ზიდე ეს ჯვარი თანა,
შენს ნაზი მხრებით, ყვარლის ასულო?...
ეს ღმერთმა უწყის რის გადატანა
მოგიხდა ქვეყნად, ნატანჯო სულო.
შენ ჩააბარე გამოცდა რთული,
ვით გაუძელი?... მითხარი ერთი!...
ლექსები გქონდა საგზლად შენ სულის
და მიამატე ლამპარსაც ზეთი.
აღზარდე ვაუნი მზისა სადარნი
და დააყენე ცხოვრების გზაზე,
დღეს შენი მსგავსი დედა სად არის?...
უფალს მიენდე, მიჰყევ მას ხმაზე.
შვილი ხარ ჩვენი წმიდა ტაძარის
და ყვარლის ერთი რჩეული ქალი.
შენი ლექსებით ღვთისკენ დაგვძახი,
გფარავდეს უფლის მოწყალე თვალი.

მამა ბენიამინმა მეორე სახელი დამარქვა და ნუნუ-ნინოს მეძახდა.

ეს ლექსი შეტანილი მაქვს რიგით მეორე პოეტურ კრებულში. ბოლოს კი მიწერს:

„ჩვენი ტაძრის ერთ-ერთ ამაგდარს, „ემბაზის“, „სახარების“ და ღვთისმშობლის ხატის – „შენ ხარ ვენახის“ შემომწირველსა და გამამშვენებელს, ჩემს სულიერ შვილს ვუსურვებ ჯანმრთელობას და წარმატებებს“.

დეკანოზი ბენიამინ ჩიხორლიშვილი.

– როგორ ფიქრობთ, ბუნებისგან ნაბოძები შემოქმედებით უნარი რა მოვალეობას აკისრებს პოეტსა და მწერალს?

– რაც შეეხება ბუნებისგან ნაბოძებ ნიჭს, უნარს, მოვალეობას, ჩემი აზრით პოეტს, მწერალს და საერთოდ ხელოვან ადამიანებს უფალი დიდ პასუხისმგებლობას და მოვალეობას აკისრებს. პირველ რიგში, რა თქმა უნდა უფლის, სამშობლოს და ადამიანების სიყვარულს, შემდეგ კი თავმდაბლობას, სიკეთის კეთებას, ერთმანეთის სიყვარულს, მოყვასის თანადგომას, სხვისი წარმატებით გახარებას, უპოვართა შემწეობას და საერთოდ სამყაროს ისეთად დანახვას, როგორიც არის, და არა ისეთად, ჩვენ როგორებიც ვართ. ამას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს შემოქმედისათვის. ცხოვრების არსი ხომ საკუთარი თავის შექმნაშია, რამდენად ავმაღლდებით სულიერებაში.

ხშირად უნდა ჩავიხედოთ გულში, შემდეგ ჰაერი ღრმად უნდა ჩავისუნთქოთ, წამოვდგეთ, მტკვერი და ბოროტი აზრები ჩამოვიფერთხოთ, უფალს შენდობა ვთხოვოთ და ყველაფერი თავიდან, სუფთა ფურცლიდან დავიწყოთ.

– თუ ეთანხმებით თომას მანი სიტყვებს:“პოეზია ნატიფი შურისძიებაა უხეში სამყაროს მიმართ“ და თქვენთვის რა არის პოეზია?

– ...ნება მომეცით არ დავეთანხმო. არ ვეთანხმები იმიტომ, რომ კეთილშობილმა პოეტმა შურისძიება (ნატიფია თუ არაა ნატიფი, მაინც შურისძიებაა) ლექსად არ უნდა გარდაქმნას და უარყოფითი ენერგიით არ უნდა აავსოს.

ლექსს ჩვენი უფაქიზესი „სამშვინველი“ და უფლის მიერ მონიჭებული ღვთაებრივი ნიჭი გვაწერინებს, ლექსი მხოლოდ და მხოლოდ სულის, სულიერების და სიყვარულის გამოძახილი უნდა იყოს. სიყვარული უნდა იფრქვეოდეს პოეტის ბაგეებიდან, რამეთუ „ღმერთი სიყვარულია!“

– რაში გეხმარებათ ლექსი?

– ლექსი ჩემი სულის, გულის ამოძახილია, ჩემი კვნესაა, ჩემი ძახილი, ჩემი სევდაა, დიდი ნაღველი. სულის ფორიაქია, ცრემლთა ნაკადი, შინაგანი წვა და ღადარი. ჩემი განცდები და აღმაფრენა, რომელიც ღმერთთან მისასვლელ გზას მინათებს.

ღვთისმშობელი იღიმის და მღერის
ჩემს ოთახში ცისარტყელა
მოფრენილა,
მოფრენილა შვიდი ნაზი ფერი.
ღვთისმშობლის ხატს ეფერება
ყველაფერი,
ღვთისმშობელი იღიმის და მღერის.
იღიმება ლურჯ-თვალება
გაზაფხული
და თვალები უციმციმებს ლხენით
ცისარტყელას შვიდი ფერი
მთა-ბარს სერავს,
დაფრიალებს შვიდი ნაზი ფერი.
მზეც იცინის, ცისარტყელას სხივი
ბრწყინავს,
სხივში ბრწყინავს შვიდი ნაზი ფერი,
ღვთისმშობლის ხატს ეფერება
ყველა ფერი,
ღვთისმშობელიც იღიმის და მღერის.

ამ ლექსზე კომპოზიტორმა მანანა იმედაძემ უმშვენიერესი სიმღერა შექმნა, რომელიც გაჟღერებულია.

– ყველაზე მეტად რა გტკენთ გულს?

– ყველაზე მეტად გულს მტკენს ღალატი ადამიანებისგან. ორპირობა, ტყუილი და ცრუ თანადგომა. არაგულწრფელობა, არა მოყვასის სიყვარული, შური და ამპარტავნება. ჯერ კიდევ შოთა რუსთაველმა მე-12 საუკუნეში დაწერა:

„ხამს მოყვარე მოყვრისათვის,
თავი ჭირსა არ დამრიდად,
გული მისცეს გულისათვის
სიყვარული გზად და ხიდად“.

კარგი იქნებოდა ეს სიტყვები თითოეულ ადამიანს ცხოვრების დევიზად ექცია.

– როგორ საქართველოზე ოცნებობთ?

– „დიდება მაღალთა შინა ღმერთსა, ქვეყანასა ზედა, მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება“.

ასეთ საქართველოში ვისურვებდი ცხოვრებას.

სამშობლოს სიყვარული განუზომელი გრძნობაა და ყველა სხვადასხვანაირად გამოხატავს. ჩემი სამშობლოს კენჭი და ქვაც კი მიყვარს. მიყვარს ყვავილები, ყოველთვის ვეფერები და ვესაუბრები. მიყვარს პეპლები, ჩიტები, ჩვენი ბუნების სილამაზე აღმაფრთოვანებს. მიყვარს ადამიანები, ჩვენი მიწა-წყალი, რადგანაც ის ერთია და ერთადერთი, როგორც რაფიელ ერისთავმა თქვა:

„როგორც უფალი, სამშობლო ერთია ქვეყანაზედა“.

– ქალბატონო ნუნუ, ახლახანს თქვენი დაბადების დღე იყო. რას ნიშნავს ეს დღე თქვენთვის?

– ამბობენ: ცხოვრებაში ორი მნიშვნელოვანი დღეაო – როცა დაიბადე და მეორე როცა მიხვდები რისთვის და რა მიზნით მოხვედი ამ ქვეყნად.

დაბადების დღე უფლის ერთ-ერთი დიდი საიდუმლოებაა. ჩვენ მოვდივართ უცხო სამყაროში, უცხო ფერებში. წინ გველოდება განსაცდელები, რომელიც სამართლიანად უნდა გავიაროთ. თვითეული განსაცდელი ჩვენი გამოცდაა და ერთი კიბის საფეხურით ამაღლება უფლის გზაზე. თვითეული საფეხურის გავლა – ჩვენი სულიერი ამაღლებაა, ხოლო თუ ამ განსაცდელებს ტყუილებით, ღალატით, ფარისევლობით და ბოროტების კეთებით გადავლახავთ, ჩვენი სული აღარ ამაღლდება და არც უფლისკენ მიმავალი კიბის საფეხური გამოჩნდება.

მთელი ჩვენი ცხოვრება დაბადების დღიდან უფლისკენ მიმავალი გზაა, რომელიც თითოეულმა ღირსეულად უნდა გავიაროთ. (მე ასე მგონია).

და ბოლოს...

დავრჩი უფლის ამარა...
ფრთა მოტეხილ მტრედივით,
ფრთხიალ-ფრთხიალ ვიარე.
ხან აღმართი მხვდებოდა,
ხან ტყე გადავიარე.
ვერ ვიპოვე ბილიკი,
ტყეში სად არ ვიარე,
ეკლიანმა ბარდებმა
ფრთები დამიზიანეს.
არსად იყო მშველელი,
არც გულით მოზიარე.
დავრჩი უფლის ამარა,
ვარ უფლის მოტრფიალე.

– წარმატებებს გისურვებთ!

ია გიგიაშვილი

რა სახის ღონისძიებები უნდა განხორციელდეს ვირუსული და რესპირატორული დაავადებებისაგან თავის დასაცავად!



კაცობრიობამ კორონავირუსის შემოტევა როგორც იქნა მოიგერია, მაგრამ სხვა სახის ვირუსული დაავადებების გავრცელების საშიშროება ჯერ კიდევ არსებობს. ამას მოწმობს ბოლო დროს საქართველოში მომხდარი შემთხვევები.

ყვარლის მუნიციპალიტეტში ეპიდემიოლოგიურ ვითარებაში გარკვევის მიზნით ყვარლის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ცენტრის დირექტორს ბატონ მერაბ სეფაშვილს ვთხოვეთ ამ თემაზე საუბარი.

– ბატონო მერაბ, ზაფხული მოვიდა და ვირუსული ინფექციების გავრცელებისათვის ხელსაყრელი გარემოც შეიქმნა, რომელი დაავადებების მიმართ უნდა გამოვიჩინოთ სიფრთხილე?

– მიუხედავად იმისა,რომ კორონავირუსის საშიშროება თითმის აღარ არსებობს, ის პერიოდულად მაინც გვახსენებს თავს და მოდუნების უფლებას არ გვაძლევს. მიმდინარე წლის იანვრიდან დღემდე ჩვენი მუნიციპალიტეტის ორმოცზე მეტ პიროვნებას დაუდგინდა კორონავირუსული ინფექცია.

არამდგრადი ამინდები, ტემპერატურის ასეთი მკვეთრი ცვლილება ხელსაყრელ გარემოს ჰქმნის სხვადასხვა ვირუსული, რესპირატორული დაავადებების გავრცელებისთვის. საჭიროა სიფრთხილე, ამინდის შესაბამისად ზომიერად თბილად ჩაცმა და დაავადების პირველი ნიშნების გამოვლენისთანავე, როგორიც არის ყელის ტკივილი, ყლაპვის გაძნელება, ტემპერატურის მომატება, ხველა, ზოგადი სისუსტე-ოჯახის ექიმს უნდა დაუკავშირდეთ. თვითმკურნალობა სახიფათოა, რადგან გართულებული დაავადების შემთხვევაში გამოჯანმრთელების პროცესი ხანგრძლივდება.

– რას გვეტყვით ყირიმ-კონგოს ვირუსულ დაავადებებზე, საშიშროებას უქმნის თუ არა ადამიანის სიცოცხლეს, როგორ ხდება ყირიმ-კონგოს დაავადების დიაგნოსტიკა და რა ღონისძიებები უნდა გატარდეს მისი თავიდან აცილებისთვის?

– რაც შეეხება ყირიმ – კონგოს, ეს არის ზოონოზური, ვირუსული დაავადება, გარემოში ვირუსი ბინადრობს ტკიპებში და ცხოველებში (თაგვები, კურდღლები, ზღარბები, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, ცხვრები, თხები და სხვა). ადამიანი ავადდება ტკიპის კბენისას, გაჭყლეტილ ტკიპთან შეხებისას ან ავადმყოფი ცხოველის სისხლთან კონტაქტით – დაკვლისას ან ცხოველის მშობიარობაში მონაწილეობისას, ავადმყოფი ადამიანის სისხლთან კონტაქტით, არაპასტერიზირებული რძის მიღებით. ადამიანებში დაავადება ვლინდება დაავადებულ ტკიპთან კონტაქტისას 1-9 დღეში, ინფიცირებულ სისხლთან ან ცხოველებთან კონტაქტისას 3-14 დღეში. დამახასიათებელი სიმპტომებია: ცხელება, კუნთების და თავის ტკივილი, ტკივილი მუცლის არეში, გულის რევა, ღებინება, გამონაყარი და სისხლჩაქცევები კანზე, სისხლდენები ცხვირიდან, კუჭ-ნაწლავიდან.

მგზავსი სიმპტომების შემთხვევაში ავადმყოფმა დაუყოვნებლივ უნდა მიმართოს ექიმს, რადგან დაგვიანებული მკურნალობა შეიძლება უშედეგო აღმოჩნდეს და პაციენტი გარდაიცვალოს. დროულად დასმული დიაგნოზისა და მკურნალობის შემთხვევაში ყირიმ – კონგოს ჰემორაგიული ცხელება განკურნებადია. ცხოველებში დაავადება მიმდინარეობს უსიმპტომოდ და ვლინდება – აბორტით. დაავადების თავიდან აცილების მიზნით საჭიროა ჩავიცვათ გრძელ სახელოებიანი, ღია ფერის ტანსაცმელი, რაზეც მცოცავი ტკიპა ადვილი შესამჩნევი იქნება. უნდა გამოვიყენოთ კანის დამცავი და ტკიპების საწინააღმდეგო საშუალებები. სახლის ირგვლივ ბალახის საფარი უნდა იყოს დაბალი და ნათელი, ცხოველები და მათი სადგომები უნდა დამუშავდეს ინსექტიციდებით. ცხოველთან ურთიერთობისას საჭიროა გამოყენებულ იქნას სპეც ტანსაცმელი და ხელთათმანები.

– ამ ბოლო დროს საქართველოს ზოგიერთ რეგიონში უპატრონო ძაღლების მიერ ადამიანების დაკბენის ფაქტები გამოვლინდა, რომელთაც ცოფი აღმოაჩნდათ, ყვარლის მუნიციპალიტეტში როგორი მდგომარეობაა, სიცოცხლისთვის რამდენად საშიშია ეს ინფექციაა?

– ყვარლის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მიმდინარე წელს დაფიქსირებულია ძაღლების მიერ დაკბენის 60 – ზე მეტი შემთხვევა. საბედნიეროდ, ცოფის შემთხვევა არ გვაქვს. ჰიდროფობია ანუ ცოფი, მწვავე ვირუსული დაავადებაა, რომლიც მიმდინარეობს ცენტრალური ნერვული სისტემის მძიმე დაზიანებით და ვაქცინაციის გარეშე სრულდება სიკვდილით.

– დაკბენის შემთხვევაში ადამიანმა ვის უნდა მიმართოს გართულებების თავიდან აცილებისათვის?

– დაკბენის ყველა შემთხვევაში ადამიანმა უნდა მიმართოს ს.ს. „ევექსის კლინიკები“ ყვარლის კლინიკას, რომელიც ჩვენს მიერ მუდმივად და უწყვეტად მარაგდება ანტირაბიული ვაქცინით და სადაც ექიმი გადაწყვეტს, დაკბენის ლოკაციის და ხარისხის მიხედვით დაზარალებულს ჩაუტაროს ვაქცინაციის სრული თუ არასრული, ანუ პირობითი კურსი.

– საქართველოში ახლახანს გამოვლინდა ჩუტყვავილით ადამიანთა დაინფიცირების ფაქტები. ყვარლის მუნიციპალიტეტში როგორი მდგომარეობაა და ჩუტყვავილით დაავადებული ადამიანის მკურნალობა რას ითვალისწინებს?

– ჩუტყვავილა უმეტესწილად ბავშვთა ასაკის დაავადებაა, ის გამოწვეულია ჰერპესის ჯგუფის ვირუსით და მისთვის დამახასიათებელია მაღალი ტემპერატურა, ბუშტუკოვანი გამონაყარი სხეულის სხვადასხვა ადგილებში, საერთო სისუსტე, უღონობა და ქავილი გამონაყარის არეში. რაც შეეხება ჩუტყვავილით ავადობის შემთხვევებს, ყვარლის მუნიციპალიტეტში ამ მხრივ საგანგაშო მდგომარეობა არ გვაქვს. არის ერთეული შემთხვევები, მაგრამ სიტუაციას ართულებს ის, რომ ხშირად მშობლები თვითონ სვამენ დიაგნოზს და მიმართავენ თვითმკურნალობას ყოველგვარი ექიმის გვერდის ავლით, რაც ართულებს არამარტო დაავადების სტატისტიკას, არამედ გამოჯანმრთელების პროცესსაც. მარტის თვეში აღრიცხულია სულ – 2 შემთხვევა, აპრილის თვეში – 10. დაავადება უმეტესად მიმდინარეობს მსუბუქად, ყოველგვარი გართულების გარეშე.

ჩუტყვავილას დროს არ არის რეკომენდირებული გამონაყარის არეში ბრილიანტის მწვანეს (ზელიონკა) გამოყენება, შესაძლებელია თეთრი ვაზელინის წასმა. ტემპერატურის დასაწევად პარაცეტამოლი, ხოლო ქავილის საწინააღმდეგოდ ანტიჰისტამინური მედიკამენტი. ყველაზე საუკეთესო გამოსავალი კი არის ის, რომ აუცილებლად დროულად მიმართონ ექიმს და დაემორჩილონ მის მიერ დანიშნულ მკურნალობას.

– ბრუცელოზით დაავადების თავიდან აცილებისათვის ადამიანმა რა უნდა მოიმოქმედოს?

– ბრუცელოზი მსოფლიოში გავრცელებული ზოონოზური ინფექციური დაავადებაა, ადამიანზე დაავადების გადაცემა ხდება ინფიცირებული ცხოველებიდან: ცხვარი, თხები, მსხვილი რქოსანი პირუტყვი, აგრეთვე შესაძლებელია ღორებიდან და ირმებიდან. გადაცემის გზებია: კონტაქტური, საკვებით და ასპირაციული. საკვებით დაინფიცირება ხდება თერმულად დაუმუშავებელი ცხოველური პროდუქტების გამოყენებისას (რძე, არაჟანი, ხაჭო, ხორცი), ხოლო ასპირაციული გზით – ბრუცელას ბაქტერიებით დაბინძურებული მტვრის ცხვირისა და თვალის ლორწოვანში მოხვედრით. ინკუბაციური პერიოდი გრძელდება ერთი კვირიდან რამდენიმე თვემდე. თუ მფლობელს ეჭვი გაუჩნდება, რომ მისი შინაური ცხოველი ბრუცელოზით დაავადდა – სასწრაფოდ უნდა მიმართოს ვეტერინარს.

საჭიროა დავიცვათ პირადი უსაფრთხოების წესები ცხოველების მოვლისას, არ უნდა მივიღოთ აუდუღარი რძე, ამით დამზადებულ ჭყინტი ყველი და თერმულად დაუმუშავებელი ხორცი. ბრუცელოზით დაავადებული შინაურ ცხოველის რძით დამზადებული ყველი უნდა მოთავსდეს მარილწყალში მინიმუმ 60 დღე.

– დაიწყება უსაშველო გვალვა და კოღოებიც მომრავლდებიან, კოღოს ნაკბენმა რა სახის დაავადებები შეიძლება გამოიწვიოს და როგორ დავიცვათ თავი მათგან?

– კოღოს ნაკბენმა შეიძლება გამოიწვიოს ადგილობრივი რეაქცია კანის შეშუპების და შეწითლების სახით, ხოლო დასნებოვნებული კოღო „ანოფელესის“ ნაკბენით გადადის ისეთი დაავადება, როგორიც მალარიაა. მიუხედავად იმისა, რომ ათეული წლებია მალარია საქართველოში ლიკვიდირებულია, პროფილაქტიკის მიზნით ყვარლის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრში მაინც ხდება სიცხიანი ავადმყოფების სისხლის გამოკვლევა მალარიის პლაზმოდიუმზე. – კოღოს ნაჩეკების საწინააღმდეგოთ შემოგვაქვს სადეზინფექციო საშუალება „სოლფაკი“, რომელიც უსასყიდლოდ ურიგდებათ ყველა მეცხოველეობის ფერმის მეპატრონეებს და ასევე საჭიროების შემთხვევაში მოსახლეობას, ცხოველთა სადგომების და საცხოვრებელი სახლების შესაწამლად. სოლფაკით ხდება ასევე ტბორების და წყალსატევების ნაპირების დამუშავება

– რა სახის ღონისძიებები უნდა გატარდეს გველების დასახლებული პუნქტიდან მოსაცილებლად და მუნიციპალიტეტში თუ არის შესაბამისი ვაქცინის რეზერვი ადამიანების სამკურნალოდ?

– გველების დასახლებული პუნქტებიდან მოსაცილებლად უნდა ზრუნავდნენ სპეციალური სამსახურები, ხოლო, რაც შეეხება გველის ნაკბენს ს.ს. „ევექსის კლინიკების“ ყვარლის კლინიკაში მუდმივად არის ჩვენს მიერ გადაცემული გველის შხამის საწინააღმდეგო ვაქცინა.

ესაუბრა
ალექსანდრე გიგილოშვილი

რაზეა დამოკიდებული ჩვენი სიცოცხლის ხანგრძლივობა

ტელომერები ქრომოსომების განაპირა უბნებია (დაბოლოებებია), რომლებიც დამცველობით ფუნქციას ასრულებს.

დნმ-ს (დეზოქსირიბონუკლეინის მჟავას) სხვა უბნებისაგან განსხვავებით, ტელომერები არ აკოდირებს ცილოვან მოლეკულებს, რის გამოც მათ გარკვეულწილად გენომის „უაზრო“ უბნებადაც მოიხსენიებენ.

1971 წელს რუსმა მეცნიერმა ალექსი ოლოვნიკოვმა პირველად გამოთქვა მოსაზრება, უჯრედების ყოველი დაყოფისას ქრომოსომათა დაბოლოებების (ბოლო ნაწილების) დამოკლების შესახებ, ანუ ივარაუდა, რომ ტელომერული უბნების სიგრძე უჯრედის ასაკს განსაზღვრავს – რაც უფრო მოკლე ტელომერული „კუდი“ აქვს უჯრედს, მით უფრო ხანდაზმულია ის. 15 წლის შემდეგ ეს მოსაზრება ექსპერიმენტულად დაადასტურა ინგლისელმა მეცნიერმა ჰოვარდ კუკმა. ამას მოჰყვა სპეციალისტთა კამათი – ნერვული და კუნთოვანი უჯრედები ორგანიზმში არ იყოფა (არ მრავლდება), ტელომერული უბნები მათში არ მოკლდება, მიუხედავად ამისა, აღნიშნული ტიპის უჯრედებიც ბერდება და კვდებაო. ფაქტია, რომ ტელომერების სიგრძესთან შეჭიდული უჯრედის ასაკი სადღეისოდაც სადავოა, ასე ვთქვათ, ღიად რჩება! თუმცა ექსპერიმენტები კვლავინდებურად არ წყდება. კვლევებით არაერთხელ დადასტურდა, რომ ტელომერები მაინც უჯრედთა დაყოფის თავისებური მრიცხველია, რომ რაც უფრო მოკლეა ტელომერული უბანი, მით უფრო მეტი დაყოფა აქვს გავლილი უჯრედს საწყისი წინამორბედისაგან.

არსებობს ე.წ. ხეიფლიკის ზღვარი, რომელიც დაკავშირებულია ტელომერების სიგრძეთა შემოკლებასთან. სომატური უჯრედების დაყოფის რიცხვი დაახლოებით 50-ს უტოლდება, ამის შემდეგ უჯრედები დაბერების ნიშნებს ავლენს.

როგორც კვლევებმა აჩვენა, დნმ-ს აღდგენა შეუძლია ფერმენტ ტელომერაზას, რომელიც ზემოქმედებს ტელომერებზე და აღადგენს მათ საწყის სიგრძეს.

საყურადღებოა, რომ ფერმენტი ტელომერაზა სიმსივნურ უჯრედებში, სპერმატოზოიდებსა და კვერცხუჯრედებში „მუშაობს“.

ალექსი ოლოვნიკოვმა თავის დროზე (70-იან წლებში) ამ ფერმენტის არსებობაც იწინასწარმეტყველა. ფერმენტი რეალურად 1985 წელს აღმოაჩინეს ინფუზორიასთან, შემდგომ საფუარებთან, მცენარეებთან და ცხოველებთანაც, რაც მთავარია, ნახეს ადამიანის კვერცხუჯრედებსა და სიმსივნურ უჯრედებში. ამ ფერმენტს სხვაგვარად „დამაგრძელებელსაც“ უწოდებენ, რადგან მისი ფუნქცია დნმ-ს განაპირა უბნების „დაშენებაა“. სწორედ ეს ფერმენტი „აკერებს“ ნუკლეოტიდურ თანმიმდევრობებს ტელომერებს. უჯრედები, რომლებშიც ტელომერაზა ფუნქციობს (სასქესო, სიმსივნური), უკვდავია. ჩვეულებრივ, სომატურ ანუ სხეულის უჯრედებში ტელომერაზა არ „მუშაობს“, ამიტომაც უჯრედის ყოველი დაყოფისას ტელომერები მოკლდება, რაც საბოლოოდ უჯრედის დაღუპვას იწვევს.

1997 წელს ამერიკელმა მეცნიერებმა კოლორადოს უნივერსიტეტიდან მიიღეს ტელომერაზას გენი. შემდგომ 1998 წელს დალასში, ტეხასის უნივერსიტეტის სამხრეთ-დასავლეთის სამედიცინო ცენტრის მკვლევრებმა ტელომერაზას გენი ადამიანის კანისა და სისხლძარღვოვანი ეპითელიუმის უჯრედებში ჩანერგეს, სადაც ფერმენტი, ჩვეულებრივ, „არ მუშაობს“. ასეთ გენეტიკურად მოდიფიცირებულ უჯრედებში ტელომერაზა მოქმედი იყო, დნმ-ს დაბოლოებებს აკერებდა ნუკლეოტიდებს. შესაბამისად, უჯრედთა დაყოფიდან დაყოფამდე ტელომერების სიგრძე არ იცვლებოდა. ამ მეთოდით მეცნიერებმა შეძლეს ჩვეულებრივი უჯრედების სიცოცხლის ხანგრძლივობა 1,5-ჯერ გაეზარდათ.

შესაძლებელია, ამ მეთოდით სიცოცხლის გახანგრძლივების გასაღები იპოვოს მეცნიერებამ. ამგვარად, ტელომერაზა უკვდავების ელიქსირის მთავარი კანდიდატია. იმავდროულად ეს ფერმენტი უჯრედთა ავთვისებიანი გადაგვარების ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია. ონკოუჯრედები უკვდავია სწორედ იმის გამო, რომ მათში ტელომერაზა აქტიურად ფუნქციობს. ამის გამოა, რომ ბუნებაში უკვდავება და სიმსივნე თითქოს ანონასწორებს ერთურთს, უკვდავ ორგანიზმს თეორიულად უსასრულოდ შეუძლია არსებობა, მაგრამ ის აუცილებლად დაიღუპება სიმსივნის გამო.

საინტერესო ინფორმაცია

როგორც უკვე მოგახსენეთ, ტელომერებთან დაკავშირებული კვლევები არ წყდება. ბელგიელმა მეცნიერებმა ექსპერიმენტულად დაადასტურეს, რომ ფიზიკური ვარჯიში, განსაკუთრებით – გამძლეობაზე, აფერხებს ტელომერების შემოკლებას, შესაბამისად, დაბერების პროცესის გადავადებას უწყობს ხელს. თუ ბელგიელი სპეციალისტები სიცოცხლი გახანგრძლივებისათვის ფიზიკურ აქტივობას გვირჩევენ, ბრაზილიელი და ამერიკელი მეცნიერები რეკომენდაციას უწევენ მამაკაცის სინთეზურ ჰორმონს – დანაზოლს. მათი კვლევის შედეგებით აღნიშნული ჰორმონი ფერმენტ ტელომერაზას გამომუშავებას ეხმარება. აპლასტიური ანემიით დაავადებულ 27 პაციენტთან ჰორმონულმა პრეპარატმა გასაოცარი შედეგები აჩვენა, ტელომერების სიგრძე თითოეულ პაციენტთან მნიშვნელოვნად გაიზარდა. ამასთან, ჰემოგლობინის დონე სისხლში ფიზიოლოგიურ მაჩვენებელს მიუახლოვდა. თუმცა დანაზოლით თერაპიას უარყოფითი გვერდითი მოვლენები ახლავს, რის გამოც მისი ასე ხელაღებით დანერგვა მიზანშეუწონელია. მაგალითად, ჰორმონის ჭარბად გამოყენებისას ქალებთან მასკულინიზაცია, მამაკაცებთან კი სათესლეების ატროფია შეინიშნება. გარდა ამისა, დანაზოლი ჰეპატოტოქსიკურია (ანუ ვნებს ღვიძლს). ამჟამად ექსპერიმენტები აქტიურად ტარდება იმ პრეპარატების გამოყენებით, რომლებსაც ნანდროლონის საფუძველი აქვთ. ამ უკანასკნელს ნაკლები გვერდითი მოვლენები ახასიათებს.

დასასრულს კი შეგახსენებთ

ნაადრევი სიკვდილის გამომწვევ რისკფაქტორებს შორის დაბალი ფიზიკური აქტივობა, თამბაქოს მოწევის შედეგ, მეორე ადგილზეა.

შვედი მედიკოსების ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა, რომ რაც უფრო მეტად შთანთქავს ჟანგბადს ადამიანის ორგანიზმი ფიზიკური ვარჯიშისას, მით უკეთესია მისი ჯანმრთელობისათვის. შვედების ნორვეგიელმა, ავსტრალიელმა და ამერიკელმა კოლეგებმა რამდენადმე დაამშვიდეს ჰიპოდინამიით (უმოძრაობით) გამორჩეული საზოგადოება – განაცხადეს, რომ ცხოვრების მჯდომარე და უმოძრაო წესის ნეგატიური ეფექტების ნეიტრალიზაცია სავსებით შესაძლებელია ზომიერი ფიზიკური დატვირთვებით.

ზომიერ ფიზიკურ დატვირთვაში კი იგულისხმება: მაგალითად, სიარული არანაკლებ 4,8 კმ საათში სიჩქარით ან კიდევ ველოსიპედით სეირნობა 16 კმ საათში სიჩქარით, ამასთან, ფიზიკური დატვირთვა ერთ საათს მაინც უნდა გრძელდებოდეს. მათთვის, ვინც ყოველდღიურად 8 საათს მაინც ატარებს დამჯდარი, ოპტიმალურად ითვლება 60-75-წუთიანი დატვირთვა. ფიზკულტურის ცალკეული ეტაპები შესაძლოა დროში გადანაწილდეს.

და კიდევ, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, ადამიანის ჯანმრთელობას განსაზღვრავს დაახლოებით 20%-ით გენეტიკური ფაქტორები, 25%-ით – გარემოს მდგომარეობა, 15%-ით სამედიცინო მომსახურების დონე, დანარჩენი 40% კი ცხოვრების პირობებსა და წესზე მოდის.

ამგვარად, თუ უკუაგდებთ თამბაქოს, არ მიიღებთ ცხიმიან საკვებს და რაც მთავარია, რეგულარულად ივარჯიშებთ, მნიშვნელოვნად გაიუმჯობესებთ ჯანმრთელობას და გაიხანგრძლივებთ სიცოცხლეს!

თინათინ გოცაძე
https://mkurnali.ge/

სასწავლო-საალმზრდელო პროგრამა ორგანიზებულია და ბავშვების საჭიროებებზეა მორგებული

„მოგზაურობა რიტმის სამყაროში“ – ღონისძიება, რომელიც ყვარლის №3 საბავშვო ბაღში ჩატარდა და ტრადიციული საზეიმო პროგრამისგან განსხვავდებოდა, თანამედროვე სტანდარტებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს ზუსტად პასუხობდა.

ასეთი ღონისძიების მიზანს წარმოადგენს სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის ბავშვებში რიტმის უნარების განვითარება. ღონისძიება იყო დასტური იმის, თუ რამხელა დატვირთვა გააჩნია მუსიკას, ბავშვების ფიზიკური და გონებრივი განვითარების თვალსაზრისით.

პატარებმა სასიამოვნო შთაბეჭდილება მოახდინეს მაყურებლებზე და დიდი მოწონება დაიმსახურეს.

ყვარლის №1 საბავშვო ბაღის ღონისძიება „დო – დან დო – მდე„მოიცავდა მრავალფეროვან აქტივობებს, რაც ადრეულ ასაკში ბავშვების უნარ – ჩვევების განვითარებისთვის აუცილებელია და თანამედროვე სტანდარტებითაა გათვალისწინებული. წარმოდგენილი იყო მათემატიკური, მუსიკალური, რიტმული, და სამაგიდო აქტივობები. ასეთი ღონისძიებები ხაზს უსვამს იმას, რომ სასწავლო-საალმზრდელო პროგრამა ორგანიზებულია და ბავშვების საჭიროებებზეა მორგებული. შექმნილია შესაბამისი გარემო, რაც საბავშვო ბაღის აღსაზრდელების განვითარებისთვის ყველა პირობას ქმნის.

აღსანიშნავი, რომ ღონისძიებები ჩატარდა აიიპ ყვარლის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების გაერთიანების (დირექტორი ნონა დავითაშვილი) მეთოდკაბინეტის ჩართულობით, რომელსაც ესწრებოდნენ ყვარლის მუნიციპალიტეტის მერი, გივი ზაუტაშვილი, მერის მოადგილე გიორგი ქოქიაშვილი, საკრებულოს წევრები და სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულების წარმომადგენლები.

როგორც ქალბატონი ნონა დავითაშვილი აღნიშნავს, ყვარლის მუნიციპალიტეტის ბაგა – ბაღებს დიდი ხელშეწყობა აქვთ მუნიციპალიტეტის მერის გივი ზაუტაშვილის მხრიდან, რაც საშუალებას აძლევთ ფეხი აუწყონ თანამედროვე სტანდარტებს.

მსგავსი ღონისძიებების ჩატარება, უახლოეს პერიოდში მუნიციპალიტეტის სხვა ბაღებშიც დაგეგმილია.

ია გიგიაშვილი

სპორტულ ასპარეზობებზე

კარატე

ქალაქ რიგაში ჩატარდა ევროპის ჩემპიონატი კარატეში ჭაბუკთა შორის K-1 პროგრამით, სადაც წარმატებით გამოვიდა ყვარლის სასპორტო სკოლის აღსაზრდელი გიგი ხეჩიაშვილი.

48 კილოგრამ წონით კატეგორიაში რამდენიმე მეტოქის დამარცხების შემდეგ დათმო ნახევარფინალური შეხვედრა მეტოქესთან და დაეუფლა ბრინჯაოს მედალს (მწვრთნელი ზაქრო ხეჩიაშვილი).

ძიუდო

თბილისში ჩატარდა საქართველოს ჩემპიონატი ვეტერან ძიუდოისტთა შორის, სადაც წარმატებით იასპარეზეს ყვარლის მუნიციპალიტეტის ვეტერანმა ძიუდოისტებმა, რომლებმაც 3 პირველი ადგილი მოიპოვეს. 90 კილოგრამ წონით კატეგორიაში ჩემპიონი გახდა გია სირაძე, 100 კილოგრამ წონით კატეგორიაში – ვანო გიგილაშვილი და მძიმე წონით კატეგორიაში – ანზორ შეღვიაშვილი.

ამჟამად ვანო გიგილაშვილი ემზადება ევროპის ჩემპიონატისათვის, რომელიც 8-11 ივნისს ჩატარდება სლოვენიაში.

წარმატებას ვუსურვებთ ჩვენს ვეტერან ძიუდოისტებს.

გოგონებმა გვასახელეს

თბილისში ჩატარდა ისიდორე მჭედლიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი რესპუბლიკური ტურნირი ძიუდოში 2010-2011 წლებში დაბადებულ სპორტსმენთა შორის, სადაც წარმატებით გამოვიდნენ ყვარლის სასპორტო სკოლის აღსაზრდელები.

44 კილოგრამ წონით კატეგორიაში მესამე ადგილი და ბრინჯაოს მედალი მოიპოვა თათია გიგილაშვილმა.

63 კილოგრამ წონით კატეგორიაში ფინალური შეხვედრა დათმო და ვერცხლის მედალს დასჯერდა მაგდა ხოსროშვილი (მწვრთნელი ვანო გიგილაშვილი).

ალექსანდრე გიგილოშვილი

კახეთი – 2023 წლის საუკეთესო ღვინის მიმართულება

10 საუკეთესო ღვინის რეგიონი, რომელსაც 2023 წელს უნდა ესტუმრო – ტოპ ათეულში საქართველო პირველ ადგილს იკავებს.

სტატიას ამერიკის შეერთებულ შტატებში ერთ-ერთი უდიდესი ღვინის ციფრული პლატფორმა VinePair აქვეყნებს. გამოცემა მკითხველს საქართველოში მოგზაურობას და კახეთში ღვინის დაგემოვნებას ურჩევს. საუკეთესო მიმართულებად საქართველოსთან ერთად საფრანგეთი, პორტუგალია, პერუ, იტალია, ესპანეთი, ხორვატია, ახალი ზელანდია, კალიფორნია და ტეხასი დასახელდა.

„ღვინის მომზადების უძველესი ტექნიკა საქართველოში იღებს სათავეს. ამიტომ სულ არ არის გასაკვირი, რომ ახლა საქართველო ღვინის პოპულარული რეგიონია. ღვინის წარმოების 8 ათასწლოვანი ისტორიით საქართველო ღვინის სამშობლოდ არის მიჩნეული. დღეს ქართული ღვინო სწრაფად ხდება პოპულარული და ექსპორტი ყოველწლიურად რეკორდულად იზრდება. ეს ხელს უწყობს საქართველოს პოპულარიზაციას, ტურისტულ ბუმს და ეკონომიკის გაზრდას. ამიტომ თუ ხართ სასმელების მოყვარული დაჯავშნეთ თქვენი მოგზაურობა საქართველოში“. – წერს გამოცემის მიმომხილველი ჰანა სტაბი.

„ღვინოში ჩასაძირად კახეთზე უკეთესი რეგიონი არ არსებობს. ეს საქართველოში ღვინის წარმოების საუკეთესო რეგიონია. თბილისიდან ერთი საათის სავალზე მდებარე რეგიონში საუკეთესო ყურძნის ჯიშებია, მათ შორისაა: საფერავი და რქაწითელი. ღვინის ფერმენტაცია თიხის ჭურჭელში, ქვევრში ხდება. ეს ტრადიცია იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის სიაშია შესული“, – წერს ჰანა სტაბი.

სტატიაში კახეთის მარნები, ღვინის ქარხნები და მუზეუმებია მიმოხილული. მათ შორისაა წინანდლის მუზეუმიც. VinePair-ის ცნობით წინანდლის მამულში სტუმრებს ვენახებთან ერთად შეუძლიათ დაათვალიერონ 1814 წელს გამოშვებული 15000 ბოთლი ღვინო.

მოსახლეობის საყურადღებოდ!

გაცნობებთ, რომ ყვარლის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრს, რომელიც მდებარეობს ძველი საავადმყოფოს ტერიტორიაზე, მიღებული აქვს მწერების შესაწამლი საშუალება „სოლფაკი“, რომელიც გაიცემა უფასოდ.

გთხოვთ, მობრძანდეთ და თან იქონიოთ პირადობის დამადასტურებელი მოწმობა.

პატივისცემით, ყვარლის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი

სარეკლამო კომპანია „პაკო“

პოლიგრაფიული მომსახურეობა:

1. გარე რეკლამა
2. ბანერი
3. წიგნის ბეჭდვა
4. ბუკლეტები
5. სტიკერი
6. ჟურნალ-გაზეთები
7. დიზაინერული მომსახურეობა
8. ეტიკეტები
9. ბადე-სტიკერი
10. პლაკატები და ა.შ.

593 26 54 81 პაატა

დაბალი ფასები, მაღალი ხარისხი უმოკლეს ვადებში!

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. დამფუძნებელია ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულო, ხოლო გამომცემელი შპს „მედია ცენტრი“. გაზეთში გამოქვეყნებული წერილების ავტორთა თვალსაზრისი შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციისას. ავტორები თავად აგებენ პასუხს მასალაში მოტანილი ფაქტების, არგუმენტებისა თუ ციტატების სიზუსტეზე. შემოსული წერილები ავტორებს არ უბრუნდებათ.

დირექტორი
ალექსანდრე გიგილოშვილი
მოადგილე
ნუგზარ ღონიაშვილი

პასუხისმგებელი მდივანი
ია გიგიაშვილი
კორესპონდენტი
დალი ტატულიშვილი

რედაქციის მისამართი:
ქ. ყვარელი, კუდიგორის №2
საკონტაქტო ტელეფონი:
22-01-86